კვალი

X V. ᲫᲝᲒᲕᲔᲚ-ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ. X V.

№ 30 კვირა, 21 ივლისი 1902 წლისა. № 30

ეროვნული ბიბლიოთეკა

46/2

127

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—„წერა-კითხვის გამავრ. ზოგადოების“ კანცელარიაში და „კვალის“ რედაქციაში, ბარონის ქუჩაზე, № 27. ტელეფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „КВАЛИ“.

შინაარსი: ოგიუსტ კონტი, X-სა.—საუბარი სხვა-და-სხვა საგნებზე, მოსაუბრისა.—შინაური მიმოხილვა.—სხვა-და-სხვა ამბები.—კორესპონდენციები.—საზღვარ-გარეთ.—რუსეთის ცხოვრება.—ადიაქოთი, მოთხ. ა. ჩეხოვისა.—წერილი საფრანგეთიდან, Duprat-სა.—ადამიანის უჩინარი მტრები, ი. გ—ლისა.—ქუთ. წიგ. გამომც. ამხ. კამ. წევ. საზასუხოთ, Parole-სა.—განცხადებანი.—

ᲝᲒᲘᲣᲡᲢ ᲙᲝᲜᲢᲘ.

ჩვენ ვერ წარმოვიდგენთ ადამიანს ისეთ მდგომარეობაში, რომ ის არ აზროვნობდეს. რამდენათაც დაბალ საფეხუზე არ უნდა იდგეს ის, რამდენათაც უვიცი და განუვითარებელი არ იყოს, ის მაინც ფიქრობს, ესე იგი თავისებურათ ხსნის როგორც გარეშე მოვლენებს, ისე თავის შინაგან, ფსიხიურ ცხოვრებას. ამნაირათ იმას შეუდგება სრული წარმოდგენა ქვეყნიერების მოვლენებზე, მას ბევრათ თუ ნაკლებათ დალაგებული ცოდნა აქვს, მისი წარმოდგენა ასე თუ ისე სისტემატიურია, რადგანაც ის ემორჩილება ერთ რომელიმე პრინციპს. აი ეს სისტემატიური ახსნა ქვეყნიერების მოვლენათა არის ფილოსოფია. ფილოსოფიური სისტემები უთვალავია, მარა ყველა ესენი შეგვიძლია ორ დიდ ჯგუფათ გავყოთ. პირველ ჯგუფს ეკუთვნიან ყველა ის სისტემები, რომელნიც აწყობილი არიან ავტორების მიერ თავისუფლათ გამოგონილ პრინციპებზე, ეს სპეკულიატიური ფილოსოფიაა. არის მეორე ლი ცოდნა. მეცნიერების დარგნ

ოგიუსტ კონტი

ᲑᲔᲝᲠᲒ ᲑᲔᲑᲔᲚᲘ ᲤᲠᲘᲓᲠᲘᲰ ᲨᲔᲚᲘᲜᲒᲘ

ერთი მეორეზე ახალ და | ახალ აღმოჩენებს ახდენდენ, ახალ კანონებს აჩენდენ, ᲛᲔᲠᲛᲔ

გვარი ფილოსოფია, რომელიც ცდილობს ნამდვილ ცოდნაზე დამყარებას. ასეთი სისტემის შემუშავება სცადეს არისტტელმა, მერე ბეკონმა. მარა პირველი ადგილი ეკუთვნის საფრანგეთის შვილს, ოგიუსტ კონტს.

რასაკვირველია, ცოდნაზე აშენებული სისტემის გაჩენა გასული საუკუნის პირველ ნახევარში შემთხვევითი არ ყოფილა. უკანასკნელ საუკუნოების განმავლობაში მეტათ განვითარდა ცდაზე დამყარებული მეცნიერება. მაინც მეტათ წინ წავიდენ ქიმია და ფიზიოლოგია. ბუნების ყველა მხარეები დაუმორჩილეს თანდათან მეცნიერულ მეთოდებს და პრინციპებს, რომელნიც წამოაყენეს კეპლერმა, გალილეიმ და ნიუტონმა. საფრანგეთის ბუნების-მეტყველებმა, ლავუაზიემ და ბიშამ ქიმიაში და ფიზიოლოგიაში განაგრძეს ის გზა, რომელსაც დაადგენ თანამედროვე ბუნებისმეტყველების დამფუძნებლები ასტრონომიასა და ფიზიკაში. გაფართოდა ადამიანის ნამდვი-

მაინც ეს სისტემა არ იყო. ყოველ მეცნიერებას თავისი ფარგალი აქვს და მხოლოთ ამ ფარგალში იზრდება და ფართოვდება ის. მეორე მხრით არ შეიძლება სხვა და სხვა მეცნიერების დარგში მომწყვდეულ ცოდნას გავლენა არ ქონდეს ადამიანის საზოგადო შეხედულობაზე. ამ ნაირათ უნებლიეთ დაიბადა სურვილი ადამიანის გონებრივი წარმოდგენა დაფუძნებულიყო ნამდვილ ნიადაგზე და ამით მისი შეხედულებიდან გამორიცხულიყო ყოველი სადავო მეტაფიზიკური და ტეოლოგიური აზრები. სისტემატიური დალაგება სულ ყველა ნამდვილ მეცნიერებათა უმთავრეს ფაქტების, კანონების და მეთოდების, აი რა უნდა იყოს ჩვენი შეხედულობის შინაარსი, აი ნამდვილი პოზიტიური ფილოსოფია, რომლის ნამდვილი შემქნელი არის კონტი.

ოგიუსტ კონტი დაიბადა 1798 წელს მონპელიეში, სადაც მამა მისი გადასახადის ამკრეფათ იყო. დიდებული ფილოსოფოსის წარმომშობი ოჯახი იყო სრულიათ ჩვეულებრივი. საშვალო მოხელის. მისი დედ-მამა მტკიცე კათოლიკეები და მონარქისტები იყვენ. რა საკვირველია, მათგან ბევრს ვერაფერს შეიძენდა ახალგაზდა ოგიუსტი. ცხრა წლის ოგიუსტი მიაბარეს მონპელიეს ლიცეიში. საყურადღებოა, რომ აქ უკვე ჩაისახა დიდებული კაცის ხასიათი. იმას საშინლათ ეჯავრებოდა შკოლაში ის პირები, რომელთა მოვალეობას გარეშე დისციპლინის დამყარება შეადგენდა. პირიქით დიდ პატივს სცემდა გონებრივ და ზნეობრივ ავტორიტეტს. ამიტომ იმას ძალიან უყვარდა მასწავლებლები, რომელნიც კიდეც აფასებდენ არა ჩვეულებრივი ყმაწვილის ნიჭს და გულის ყურს. 1814 წელს კონტი შევიდა პარიზის პოლიტეხნიკურ შკოლაში. ამ შკოლას დიდი გავლენა ქონდა მაზე; ეს შკოლა დაარსა კონვენტმა 1794 წელს ინჟენერების მოსამზადებლათ, რადგან ისინი მეტათ საჭირო იყვენ რევოლიუციის დროს. ასეთი იყო ამ სასწავლებლის დასაწყისი და რა საკვირველია, მასში გამაგრდა რესპუბლიკანური ტრადიცია. მართლაც საფრანგეთში არც ერთი სერიოზული საზოგადოებრივი მოძრაობა არ ყოფილა ისეთი, რომ პოლიტეხნიკური შკოლის მოწაფეებს მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოთ. ასეთი იყო პოლიტეხნიკური შკოლის ატმოსფერა. კონტს მაინც არ დასცალდა ამ შკოლაში. ერთხელ ერთი რეპეტიტორი ცუდათ მოეპყრო პირველი კურსის მოწაფეს, უფროსი შეგირდები ჩაერიენ საქმეში და მისწერეს რეპეტიტორს: „თვალით არ დაგეენახვოთ სასწავლებელშიო“. წერილი კონტმა დაწერა. რეაქციონურმა მთავრობამ ისარგებლა შემთხვევით და მიხურა შკოლა, ხოლო კონტი გაისტუმრა მშობლებთან პროვინციაში, აქ ვერ გასძლო ახალგაზდა ყმაწვილმა და გასწია პარიზში, სადაც წინანდელი მასწავლებლების დახმარებით იშოვა კერძო გაკვეთილები. ცოტა ხანს შემდეგ ის შეიქნა გამოჩენილი უტოპისტის სენ-სიმონის მდივნათ. გამოჩენილ უტოპისტს დიდი გაკვლენა ქონდა კონტზე. სენ-სიმონის შეხედულობით მეცნიერების და ფილოსოფიის უმთავრესი მიზანი საზოგადოების გარდაქმნაში იყო, ამ ნაირათ ის საზოგადო მოღვაწეობას მეცნიერულ სისტემას უმორჩილებდა. ერთ ხანს კონტი გულმოდგინეთ მუშაობდა სენ-სიმონთან, მარა რამდენათ ის ვითარდებოდა, იმდენათ მას და სენ-სიმონს შორის თვალსაჩინო ხდებოდა განსხვავება. ბოლოს ისინი სამუდამოთ განშორდენ ერთმანეთს. კონტი შეუდგა განუწყვეტელ შრომას, 1826 წელს გამოაცხადა საჯარო ლექციები, რომელსაც ესწრებოდენ გამოჩენილი მეცნიერები. მაგრამ გადამეტებულმა შრომამ ისე გამოულია არაქათი მას, რომ დროებით გონება დაკარგა. მორჩა თუ არა, ხელახლა შეუდგა შრომას და რამდენიმე წლის განმავლობაში გამოსცა თავისი უმთავრესი შრომა; „პოზიტიური ფილოსოფიის კურსი“. ამავე დროს ის გამოდის პოპულიარიზატორათ. საზოგადოებრივი პროგრესის განვითარება მისი აზრით დამოკიდებული იყო ხალხში მეცნიერულ ცოდნის გავრცელებაზე. ამ მიზნით [illegible] ამხანაგთან ერთათ მან დაარსა საზოგადოება, [illegible] უსასყიდლოთ უკითხავდენ პარიზის მუშებს ნამდვილ მეცნიერებათა პოპულიარულ კურსებს. თვით კონტი კითხულობდა ასტრონომიას. კონტმა ბევრ ჯერ სცადა, რომ რაიმე ხეირიანი ადგილი ეშოვა, მარა არც ერთხელ ბედმა არ გაუღიმა. სულ კერძო ან შტატ გარეშე ადგილებს აძლევდენ. ბოლოს ისინიც დაკარგა და ცხოვრობდა თავისი პატივისმცემლების დახმარებით. უკანასკნელი წლები მისი ცხოვრებისა მაინც მეტათ განსხვავდება წინანდლებზე. თავის მოღვაწეობის დასაწყისში კონტი წინააღმდეგი იყო ყოველნაირი ტეოლოგიური და მეტაფიზიკური ახსნის. ხოლო სიბერეში რაღაც მისტიკურ მდგომარეობაში ჩავარდა და თავისებური სარწმუნოებაც კი შექნა, სადაც უმაღლეს სათაყვანო არსების მაგიერობას კაცობრიობა სწევდა. გადაიცვალა კონტი პარიზში 1857 წელს დიდ ძალი თაყვანის მცემლებით გარშემორტყმული.

კონტის პოზიტიურ ფილოსოფიას, როგორც ყოველ მოძღვრებას, აქვს ორი მხარე: დამრღვევითი და შემოქმედებითი. დამრღვევით ნაწილში პოზიტივიზმი სრულიათ უარყოფს მეტაფიზიკას. ყოველი თეორია, რომელიც ხსნის ბუნების მოვლენებს ქვეყნიერების გარეშე მყოფ მიზეზებით, უსაფუძვლო და მაშ უსარგებლოა. ყოველი ფაქტის ახსნა მაშინაა მეცნიერული და სანდო, თუ ამ ფაქტის დაკვირვება ჩვენ თვითონ შეგვიძლია და თუ ამ დაკვირვების შედეგი ახსნილი და ცდით დასაბუთებულია. ჩვენ შეგვიძლია გამოვიკვლიოთ მხოლოთ მოვლენათა ურთიერთი დამოკიდებულება. რაც შეეხება მათ დამწყე მიზეზს, ეს ჩვენთვის სრულიად მიუწდომელია. შემოქმედებით მხარეს უნდა ვაკუთვნოთ მეცნიერებათა კლასიფიკაცია და კაცობრიობის განვითარების კანონი. ამათ შემდეგ შეეხოთ.

X.

საუბარი სსვა-და-სსვა საგნებზე.

VIII.

ძველი მოწინააღმდეგე.

არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო — ეს ანდაზა სწორეთ ბ. ნინია გარეჯელზე ყოფილა გამოჭრილი: როგორც თითონ ამბობს, „ამ დროული კაცი ყოფილა და თავის დღეში სალოცავათ არ უელია; მხოლოთ ამ ცოტა ხანში საშინელ სურვილს აუტაცნია მისთა ცოდვათა მოსანანიებლათ“ ჩვენი ძველთა უძველესი მონასტრები დაეარა; მაგრამ ეს კეთილი განზრახვა თავიდანვე ხათაბალათ გადაქცეულა („ივერია“, № 142). მაგრამ მოგეხსენებათ, რომ სხვისი ჭირი ზოგჯერ მარგებელია, და აი ბ. ნ. გარეჯელის ხათაბალაში გაბმა ჩვენთვის სასარგებლო გამოდგა. ამ სარგებლობას ჩვენ იმაში ვხედავთ, რომ ამ „ხათაბალაში“ გაბმის გამო ბ. გარეჯელმა უფრო ახლო გაგვაცნო თავის თავი. განა ღირს კი ამათ ის — შეიძლება, გვკითხონ ჩვენ ზოგიერთებმა. მართალი მოგახსენოთ, არც იმდენათ საინტერესოა, მაგრამ ვინაიდან ერთხელ მაზე საუბარი დავიწყეთ, საჭიროა ბარემ იგი საუბარი დავასრულოთ.

ბ. ნინია გარეჯელმა სულ რამდენიმე (სამი თუ ოთხი) წერილი დაბეჭდა გაზ. „ივერიაში“. პირველ წერილშივე (იხ. ამ წლის „ივერია“, № 110) აი რას ამბობდა ჩვენი ავტორი: „დღევანდელ ჩვენ მწერლობას ერთი მნიშვნელობა-და აქვსო: არ დაავიწყოს ქართველობას თავისი მშობელი (თუ სამშობლო?) ენა, ურომლისოდაც ქართველების ხსენება აუცილებლათ გაჭრება ქვეყანაზეო“ (ხაზს ჩეე ვუსვამთ). მეტათ ახირებული წარმოდგენის უნდა იყოს მწერალი, რომ ლიტერატურის

ერთათ ერთ მნიშვნელობას მხოლოთ ამაში ხედავდეს! განა შესაძლებელია, რომ მწერლობა არსებობდეს მხოლოთ იმიტომ, რომ მან ხალხს ენა არ დააიწყოს? რა საჭირო იქნება ისეთი მწერლობა, რომელსაც ხალხის ცხოვრებისათვის არავითარი მნიშვნელობა არ ექნება, რომელიც არ განუმარტავს და არ აუხსნის საზოგადოებას მის საჭირ-ბოროტო კითხვებს, რომელიც ვერ დაუხატავს მას წარსულის და აწმყო ცხოვრების სურათს და არ გაუთვალისწინებს მის მომავალ ბედს? თუ მწერლობა არ ემსახურება ამ დანიშნულებას, იგი მწერლობა მკვდარია და მას არავითარი მნიშვნელობა საზოგადოებისთვის არა აქვს. ამნაირათ ბ. ნ. გარეჯელის მსჯელობიდან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ დღევანდელ ქართულ მწერლობას ჩვენი ქვეყნისა და ხალხისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. უეჭველია ამას გრძნობდა ჩვენი ავტორი, როცა აიღო თუ არა კალამი ხელში, მაშინათვე თავის თავს კითხა: „რისთვის ან ვისთვის ვწერო“? როგორც ხედავთ ამ კითხვის დაყენება პირდაპირი ლოგიკური დასკვნაა ბ. ნ. გარეჯელის მსჯელობისა დღევანდელ ქართულ მწერლობის მნიშვნელობის შესახებ. ყველასათვის ცხადია, თუ როგორი პასუხი უნდა მიეცა ამ კითხვაზე ბ. გარეჯელს და ამ შემთხვევაში სწორეთ პატივი და დიდება მის სახელს, რომ მან არ ულალატა ლოგიკას. „ქართველი მწერლის ღვაწლი და შრომა—გამოაცხადა მან—თითქმის ფუჭი და უნუგეშოა“ და ამიტომ უმჯობესია, რომ „ბედშავმა ქართველმა მწერალმა, უნაყოფოთ სამშობლო მწერლობაში შრომის მაგივრათ, გარეშე მწერლობაში მაინც მიიღოს მონაწილეობაო“. ბ. ნ. გარეჯელის მსჯელობამ ჩვენ იმ თავითვე გაგვაოცა. რა თქმა უნდა, ვისაც სად ეხერხება და უმჯობესათ თვლის, იქ მიიღებს მონაწილეობას. მაგრამ ჩვენ გაგვაკვირვა ბ. გარეჯელის მოტივმა, ქართველმა მწერალმა რათ უნდა მიიღოს მონაწილეობა „გარეშე მწერლობაში“. გამოდის, რომ თუ ბ. გარეჯელის ლოგიკას გავყევით, ქართული მწერლობა სულ უნდა გაუქმდეს. გაგვაკვირვა ასეთმა მსჯელობამ მით უმეტეს, რომ იგი, რაც უნდა იყოს, ქართულ გაზეთში იყო გამოთქმული. საყურადღებო იყო ის გარემოებაც, რომ ასეთი შეხედულების ავტორი, ბ. ნინია გარეჯელი, პირველათ გამოდიოდა ჩვენ მწერლობაში. ბ. გარეჯელის ახირებული მსჯელობა ჩვენ თავის დროზე აღვნიშნეთ და თანაც მას ახალ მოვლენილი პუბლიცისტი ვუწოდეთ. რასაკვირველია, ასეთი აშკარა სიმართლის გამომჟღავნება „ივერიისათვის“ მეტათ საგრძნობელი და მწვავე უნდა ყოფილიყო და კიდევაც ამისთვის ჩვეულებრივათ უშვერი ლანძღვა-გინების საგნათ გაგვხადეს. მაგრამ ეს არაფერი. საინტერესო აქ სხვა გარემოებაა, სახელდობ ის, რომ ბ. ნ. გარეჯელმა უწინარეს ყოვლისა ის გვისაყვედურა, თუ რათ ვუწოდეთ ჩვენ მას ახალმოვლენილი პუბლიცისტი. თურმე ნუ იტყვით, ბ. ნ. გარეჯელი ახალ მოვლენილი კი არა, ძველის ძველი პუბლიცისტი, ძველი ჩვენი მოწინააღმდეგე ყოფილა, და ჩვენ კი ეს როდი გვცოდნია! „როდესაც ბ. მოაუბრე ანბანს სწავლობდაო,—თამამათ გვეუბნება ავტორი,—მე დღევანდელ მატერიალურ მიმართულებას (ვაშა, ვაშა თქვენ კაცობას, ბ. გარეჯელო!) ავის თვალით ვუყურებდი და შესახებ ამისა მაშინდელ „ივერიაშიაც“ ჩემი აზრი გამოთქვიო. და იქვე დასახელებულია 1888 წლის „ივერია“ (№ 111). აი თურმე ჩვენ როგორი უვიცი და „გონებით უსინათლო ვყოფილვართ“. მაგრამ დამშვიდდით ცოტა: ჩვენ ავტორს, გონია თავისი თავიც დავიწყებია. წინანდელ მის წერილს „ივერიაში“ (1888 წ. №№ 100 და 111) ბოლოში მოწერილი აქვს „ნ. გ—ლი“, მაშინ როცა ახლანდელ წერილებს—„ნინია გარეჯელი“. სწორეთ გულთმისანი უნდა იყოს კაცი, რომ ნ. გ—ლში ნინია გარეჯელი იცნას; მაგრამ კიდეც რომ ასეთი გულთმისანი ვყოფილიყავით ჩვენ, განა ვინ-და ამის უფლება? ჩვენ გვეგონა, რომ ასეთი საქმიანი ეწინააღმდეგება ლიტერატურულ ზნეობას და [illegible] ... ასეთი ზნეობა არა სწამს, ეს კიდევ [illegible] რომ ეს ყველასათვის კანონი იყოს. ამნაირათ ჩემ დასამარცხებლათ ნახმარი საშვალება თვით ბ. გარეჯელს უფრო ამარცხებს, ვინემ ჩვენ. ეს კიდევ არაფერი: ამ გამომჟღავნებისათვის ჩვენ დიდი მადლობელიცა ვართ ბ. გარეჯელთან, რადგანაც ამის მეოხებით ჩვენ საშვალება მოგვეცა გაგვეცნო ამ ახირებული (ახალმოვლენილი უკან მიგვაქვს) პუბლიცისტის ლიტერატურული ფიზიონომია არა მარტო დღეს, არამედ რამდენიმეთ წარსულშიაც.

ბ. ნ. გარეჯელი დიდი რახით ამბობს, რომ „როცა მოსაუბრე ანბანს სწავლობდა“, მე, ი. ნ. გარეჯელი, დიდი ბრძენი ვიყავიო. ვთქვათ ეს მართალია, მაგრამ ნუ თუ აქედან ის გამოდის, რომ 14 წლის შემდეგაც მე კიდევ ანბანს ვსწავლობ და ბ. ნ. გარეჯელი კი ისევ ბრძენია? რათ არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ამ ხნის განმავლობაში მე ანბანი შევისწავლე და ბ. ნ. გარეჯელმა კი სიბრძნე დაივიწყა? ჩვენ ბევრი საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს სწორეთ ასე მოხდა, თუმცა, უნდა გამოვტყდეთ, ბ. ნ. გარეჯელი არც ამ თოთხმეტი წლის წინეთ ყოფილა დიდი რამე დოვლათიანი სიბრძნის პატრონი. ჯერ გავეცნათ ახლანდელ ნინია გარეჯელს. ჩვენ ვიცით, თუ რა შეხედულებისაა ჩვენი ავტორი ქართული მწერლობის მნიშვნელობაზე. ახლა გავიგოთ, თუ როგორი წარმოდგენა ქონია მას იმ მოძღვრებაზე, რომელსაც ისტორიული ანუ სოციალური მატერიალიზმი ეწოდება. ამ ვაჟბატონის მსჯელობით, სოციალური მატერიალიზმი ქადაგებს თურმე, რომ „ადამიანის ჭკუა-გონება, მისი გრძნობა და სულ ყოველივე ესე თურმე დამოკიდებულია ქონებრივ მეტ-ნაკლებობაზე. გამოდის, რომ თუ ქონება ბევრი გაქვთ, ჭკვაც ბევრი გექნებათ და სულითაც ძლიერი იქნებით. და თუ ბევრი ქონება არა გაქვთ, უჭკუო, უგონო და სულის უძლური იქნებითო“. ასეთი ცოდნით აღჭურვილი ადამიანი მართლა რომ მონასტრებში უნდა დადიოდეს ცოდვათა მოსანანიებლათ და არა ლიტერატურაში ეჩხირებოდეს. თქვენ შეგიძლიათ არ მიიღოთ ეს მოძღვრება, უარყოთ იგი, მაგრამ იმის თქმა ისტორიულ მატერიალიზმის შესახებ, რასაც ამბობს, ავტორის სრულ გაუგებლობას ამტკიცებს. დღეს, როცა ხსენებული მოძღვრების შესახებ საკმარისათ მდიდარი და მეტათ საინტერესო ლიტერატურა არსებობს, ისეთი აზრის წარმოთქმა ისტორიულ მატერიალიზმზე, როგორც ბ. გარეჯელმა ინება, მიუტოვებელ ცოდვათ უნდა ჩაითვალოს. დღეს თითქმის სოციალური მატერიალიზმის თავ გამოდებული მოწინააღმდეგებიც კი იძულებული არიან მიიღონ, რომ მრავალ კითხვებში ამ მოძღვრებას დიდი ღვაწლი და სამსახური მიუძღვის. კაცობრიობის მთელი წარსული ისტორია და თანამედროვე ცხოვრება აქ, ამ თეორიაში, პოულობს თავის ნამდვილ ახსნა-განმარტებას. სამი უმთავრესი იდეა ასულდგმულებს სოციალურ მატერიალიზმს, როგორც თეორიას. პირველი ისა, რომ შრომის ნივთიერი პირობები შეადგენს საზოგადოებრივი წეს-წყობილების უკანასკნელ მიზეზს; მეორე უჩვენებს იმ გზას და საშვალებას, რომლითაც იცვლება არსებული უფლება; და მესამე—კლასთა შორის ბრძოლა, რომელიც შეადგენს ისტორიის უმთავრეს შინაარს. [1]) როგორც ზევით ვამბობდი, თქვენ შეგიძლიათ არ დეთანხმოთ ამ მოძღვრებას, მაგრამ იმის ძ.ხილი, რომ „თუ ქონება მეტი გაქვთ, ჭკუაც ბევრი გექნებათ“,—ეს მხოლოთ თავისი თავის მასხრათ აგდებაა და მეტი არაფერი.

*) Туганъ—Барановскій. Очерки изъ исторіи политической экономіи.

ასეთი ცრუ აზრების გავრცელებით დღეს „ევერია“ თუ წავა იოლათ, თორემ სხვა ვერაფერ. რატომ ბ. გარეჯელი არ უჩვენებს ერთ მაგალითს მაინც, სად, როდის და ვინ ამბობდა ამის მსგავს რასმეს. ეს ხომ ცილისწამებაზე მეტია. აქედან თქვენ ხედავთ, თუ რა ლიტერატურული ფიზიონომიის პატრონია ბ. გარეჯელი დღეს. განვიხილოთ ახლა, რასაკვირველია, მოკლეთ, თუ რა იყო იგი წარსულში.

როგორც ზევითაც ვამბობდით, ბ. გარეჯელი არც წინეთაც ყოფილა ბედოვლათიანი მწერალი, მაგრამ მას მაინც უკან უკან უვლია, და არა წინ. ამ თოთხმეტი წლის წინეთ ბ. გარეჯელი აი რას წერდა: „ეხლა ყველა პატიოსანსა და განათლებულს რუსს ესმის, რომ რუსეთის ავი და კარგი, მთელი მისი მერმისი დამოკიდებულია იმის დაწინაურებულ საზოგადოებაზე, რომელსაც თავისი სული და ხორცი შეწირული აქვს და კიდევაც შესწირავს თავის სამშობლოს. მდაბიო ხალხსაც, რასაკვირველია, შესაფერი მნიშვნელობა აქვს ყოველ განათლებულ საზოგადოების წინსვლაში, ისეთი, როგორც ხვნასა ჭ თესვაში მიწის: დასთეს რასმე—სანატრელი მოსავალი მოგვივა, თუ არა და იმას უნდა დასჯერდე, რაც დედამიწის ბუნება ამოხეთქავს. ჯერ ასე და რა მნიშვნელობა ექნება მდაბიო ხალხს საკულაოდ, ეს ხომ ერთმა ღმერთმა იცისო“ („ევერია“, 1888 წ. № 100). ამ ამონაწერიდან აშკარათ ჩანს ჩვენი ავტორის მაშინდელი მიმართულება: ავტორს სავსებით რწამს ინტელიგენტის ყოვლის შემძლებლობა; ინტელიგენტს შეუძლია, ცხოვრება საითაც უნდა, იქით წაიყვანოს; ცხოვრებას იგი არ უყურებს. საქმე მხოლოთ ინტელიგენციაშია: თუ ინტელიგენცია კარგია, ცხოვრებაც საუკეთესოთ მოეწყობა, თუ იგი არ ვარგა, ცხოვრებაც უვარგისია: ამიტომ თერგდალეულების გამარჯვებას იგი იმით ხსნის, რომ იგინმა „ნათელი აზრი შეითვისეს და განახორციელესო“. პირიქით მეოთხმოცე წლების საზოგადოებრივ ცხოვრების უვარგისობას იგი აწერს მაშინდელ ინტელიგენციის უვარგისობას, და შემდეგ ასე განაგრძობს: „თუ დღევანდელ თაობას (მეოთხმოცე წლებზეა ლაპარაკი) უკეთესი თაობა არ მოყვა, მაშინ შენი მტერი ჩვენი საქმე: გაცოცხლდება ჩვენი ყოვლად დასავიწყარი თერგდალეულების წინა თაობის ცხოვრება“. „დიაღ, ამაშია ჩვენი უბედურება, რომ ჩვენ ინტელიგენცია არა გვყავს, თორემ მოგეცა ღვთის წყალობა, რომ მაშინ დედა-აზრიც გვექნება და კრიტიკაც“. კითხულობთ ამას და ასე გგონიათ, რომ ინტელიგენცია ეს ისეთი რამ უნდა იყოს, რაც ზეციდან ვარდება. მისთვის არც ნიადაგის მომზადებაა საჭირო და არც საზოგადოებრივი პირობები. სადაც შემთხვევით ჩამოვარდება ზეციდან კარგი ინტელიგენცია, ყოველივე საუკეთესოთ მოეწყობა, არა და ჩვენ ცხოვრებას საშველი არა აქვს: მ. გარეჯელი სრულებით ცხოვრებას არ აქცევს ყურადღებას, ეს მას არ აინტერესებს. მისთვის იმას კი არა აქვს მნიშვნელობა, რაც მართლა ხდება, რაც ცხოვრების სინამდვილეს შეადგენს, არამედ ის, თუ როგორ ინტელიგენტთან გვაქვს საქმე, ვინაიდგან, მისი აზრით, ყოველივე იქიდან მომდინარეობს, ყველაფრის სათავე იგი არის. რა ოქმა უნდა, ასეთი მწერალი ვერ მოიწონებდა ბ. გ. მაიაშვილის წერილს, რომელიც იწვევდა საზოგადოებას თანანამედროვე სინამდვილის გამოსაკვლევათ, ე. ი. ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების შესასწავლათ.

ბ. გარეჯელი პირველათ ვითომც კიდევაც ემხრობა იმ „ღრმა ფილოსოფიურ აზრს,“ რომელზედაც აშენებულია ბ. მაიაშვილის წერილი, მაგრამ მაგარი ის არის რომ იმას არა აქვს ჩვენ ცხოვრებაში ის პრაქტიკული მნიშვნელობა, რომელსაც ბ. მაიაშვილი მიაწერს და რომლისგანაც ის დასკვნა გამოყავს, რომ თუ ჩვენ მართლა ჩვენი ქვეყნის ერის გულითადი მზრუნველნი ვართ, უნდა უფროველათ უპირატესი ყურადღება იმის ეკონომიური ცხოვრების გამოკვლევას მივაქციოთ („ევერია“ 1886, № 111). ეხლა ვიკითხოთ: იცნობდა თუ არა ბ. გარეჯელი ჩვენ ცხოვრებას, როცა ამბობდა, რომ იმ ღრმა ფილოსოფიურ აზრს ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვსო? უბედურებაც ის არის, რომ ამის ცოდნა მას არ ქონდა, და არც შესაძლებელი იყო, რომ ცოდნოდა, ვინაიდან იგი თითონვე უარყოფდა ასეთი ცოდნის საჭიროებას. „ნუ თუ—კითხულობს იგი—ჩინეთის ეკონომიურ ცხოვრების ჩემგან გამოკვლევა ჩინეთის მდაბიო ხალხს რასმეს არგებს? ამ ჩემს გამოკვლევას მხოლოთ სამეცნიერო მნიშვნელობა ექნება და ჩინეთის მდაბიო ხალხის ბედი კი ისევე ჩინეთის მებატონეთა ხელში დარჩება. იქნება ცოტაოდენი მნიშვნელობა ქონდეს ამ ჩემ გამოკვლევას მდაბიო ხალხის ბედის გადაწყვეტაში, მაგრამ მაინც და მაინც ხალხის ბედი და უბედობა იმისაგან გარდაწყდება, ვისაც იმისი ბედი და უბედობა ხელთა აქვთ. „ეს კი ყოვლის შემძლე“ ინტელიგენცია გახლავთ. მაგრამ ჩინეთის მაგალითი ერთობ უადგილოა. ბ. გარეჯელს ეუბნებოდენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ გამოკვლევაზე და იგი კი სიტყვას განზე აგდებს. გარდა ამისა, რას ნიშნავს მისი სიტყვები: „ამ ჩემ გამოკვლევას მხოლოთ სამეცნიერო მნიშვნელობა ექნებაო“! განა მეცნიერება სხვაა და ცხოვრების შესწავლა და მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილება კიდევ სხვაა! მაშ მეცნიერება, ეტყობა, ცხოვრებისათვის ყოვლად გამოუდეგარი და უმნიშვნელო ყოფილა! ეს კი არაფერი სასიამოვნოა, თქვენმა მზემ. მაგრამ საბედნიეროთ ასე როდია.

რაც შეეხება ბ. გარეჯელის სიტყვებს: კაცთმოყვარეობა, ძმობას, ერთობას, თავგანწირულებას, თავისუფლებას და სხვა ამისთანაებს, რომლებსაც იგი „ევერიასთან“ ერთათ ემსახურებოდა, ეს ჩვენი აზრით მშრალი უშინაარსო სიტყვებია. ამის შესახებ ლაპარაკი ჩვენ უადგილოთ მიგვაჩნია.

დასასრულ ბ. გარეჯელს უნდა ვუთხრა აი რა: ჩვენ „გვჯერა მისი სიტყვები, რომ იგი დღევანდელ მატერიალურ მიმართულებას ავის თვალით უყურებდა“, მაგრამ ჩვენ გვჯერა აგრეთვე ისიც და ღრმათ დარწმუნებულიცა ვართ, რომ ბ. ნინია გარეჯელს ამ მოძღვრების, არც წინეთ და არც ახლა, არაფერი არ გაეგება.

მ. ხსაუბრე.

შინაური მიმოხილვა

ყველასთვის ცხადია, თუ რა სწრაფი ნაბიჯით იზრდება თანამედროვე ქალაქი. ეს ზრდა ხდება არა მარტო რიცხვის მხრივ. ბევრი ადამიანის ვიწრო ტერიტორიაზე შეკრებამ გამოიწვია მათი ურთიერთი დაახლოვება, მათი ინტერესების უფრო მჭიდროთ შეკავშირება. გარდა ამისა ქალაქი გახდა ცენტრათ ყოველ გვარი მოძრაობისა. აქ იზრდება მრეწველობა, აქ ვითარდება მოქალაქეობრივი გრძნობა, აქ ისახება სხვა და სხვა გონებრივი მიმდინარეობა, რომელიც შემდეგ ქვეყნის დანარჩენ ნაწილს ეფინება. ერთი სიტყვით ცხოვრება აქ მეტათ გართულდა, მოთხოვნილება მეტათ გაიზარდა. გაიზარდა არა მარტო კერძო კაცის მოთხოვნილება, არამედ მთელი ქალაქის. ამ ზრდამ კი გამოიწვია გადასახადების ზრდაც. მაგრამ რადგანაც ქალაქის მოთხოვნილებანი და მაშ ხარჯებიც გაცილებით უფრო ძლიერ იზრდება, ვიდრე გადასახადები, ამიტომ ქალაქის ზრდა-განვითარება რომ არ შეჩერებულიყო, საჭიროა შეიქნა სხვა შემოსავლის, სხვა წყაროს გამონახვა. ამ ნაირათ ქალაქი იძულებული გახდა ხელი მოეკიდებია ვაჭრობისათვის და ეაჭრობისათვის. ქალაქში ბევრი ისეთი საგანია, რომელიც საყოველთაო. საჭიროებას წარმოადგენს ასეთია წყალი, რკინის ბილ, განათება და სხვ. და აი სწორეთ ქალაქსაც თავის ხარჯით გაყავს წყალი, ქალაქის რკინ-

გზები და სხვ. ამ ნაირათ ქალაქი შეიქნა თვით მწარმოებელი და მოვაჭრე. ეს არის სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებათა მუნიციპალიზაცია. არ ითქმის, რომ ეს მუნიციპალიზაცია ყოველ ქალაქში ერთნაირი სისწრაფით ვითარდებოდეს. საზოგადოთ წინეთ ქალაქის საბჭოები იყო სხვილი ბურჟუაზიის ხელში. სხვილი ბურჟუაზია კი ყოველთვის იმ აზრისაა, რომ ქალაქის სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებანი კერძო პირების ხელში იყოს, რადგან ამ შემთხვევაში, ამ გზით ბურჟუაზიის წარმომადგენელნი საკმაოთ გაითბობენ ხელს. ამასგარდა ბევრ ქალაქში ძველიდანვე ბევრი ქალაქის საქმე კერძო ამხანაგობების ხელშია. მხოლოთ ბოლო დროს ქალაქის თვითმართველობებში გაძლიერდა დემოკრატიული ელემენტი. ის ნათლათ ხედავს, თუ რა მძიმე უღლათ აწევს კისერზე კერძო ამხანაგობებისაგან ქალაქის საქმეების ექსპლოატაცია ქალაქის მცხოვრებთა უმრავლესობას. ამიტომ ის იმის ცდაშია, რომ შეუმსუბუქოს ქალაქის ღარიბ ელემენტს ცხოვრება, ცდილობს კერძო ამხანაგობებს ჩამოართვას ქალაქის საქმეები და თვითონ ქალაქის მართველობას აწარმოებიოს. ამ ნაირათ დემოკრატიზმი და ქალაქის წარმოებათა მუნიციპალიზაცია მჭიდროთ არიან შეკავშირებული: პირველის სისუსტე ნიშნავს მეორეს არ ყოფნას, პირველის განვითარება—მეორეს ზრდას. ჩვენ, რასაკვირველია, არაფერი საბუთი არ გვაქვს ჩვენ ქალაქების თვითმართველობებში დემოკრატიულ ელემენტების გაძლიერება დავინახოთ. მაგრამ მიუხედავათ ამისა ხალხის ექსპლოატაცია კერძო პირებისაგან იმდენათ საგრძნობელი გახთა, რომ ზოგი ჩვენი ქალაქის თვითმართველობებიც კი ცდილობენ თვითონ აწარმოვონ მცხოვრებთათვის აუცილებელი საგნები. ბათომში უკვე კაი ხანია ქალაქი თვითონ ყიდის ხორცს. ახლა თბილისშიც ამ მოკლე დროში შემოიღო ქალაქმა ხორცით ვაჭრობა. დაწყებული ცდა იმდენათ შესაფერი და სასარგებლო აღმოჩნდა, რომ თვითმართველობამ უკვე მეორე დუქანი გახსნა. და იმედია რა კი ერთხელ შედგა ფეხი ამ გზას, მესამე და მეოთხეც მალე მოყვება. ჩვენ მხოლოთ ის დაგვრჩენია, რომ თვითმართველობას გზა დავულოცოთ, ხოლო ქალაქის მცხოვრებთ ჩავაგონოთ, რომ ქალაქის ინტერესებს პატივით მოეპყრან და არ უცქირონ, როგორც „სხვის“ საქმეს. მხოლოთ მაშინ იქნება შესაძლებელი საქმის განვითარება და წინსვლა.

* * *

ამ ბოლო დროს ჩვენ დრამატიულ საზოგადოებას დაეტყო ძალიანი სიფხიზლე. გასულ სეზონში მაინც წარმოდგენები გაუმჯობესდა, რეპერტუარსაც შედარებითი სერიოზობა დეტყო, იაფ ფასიანი წარმოდგენებიც შემოიღეს. იმედი იყო, რომ საქმე ამ გზით წავიდოდა და ისეთ დროსაც მოვესწრებოდით, რომ ყოველ დღე გვექნებოდა ქართული წარმოდგენა. ჩვენდა სამწუხაროთ, ეს იმედები, როგორც გავიგეთ, აღარ მართლდება. წელს თეატრი საზოგადოების კომიტეტმა მიაქირავა კერძო ანტრეპრენიორს, ამიტომ თურმე ჩვეულებრივი ქართული წარმოდგენები გაიმართება მხოლოთ კვირაში ერთელ, ხუთშაბათობით, ხოლო კვირაობით დღითი მოაწყობენ იაფ-ფასიან წარმოდგენებს. დარწმუნებული ვართ, რომ ასეთ გადაწყვეტილებას კომიტეტი მხოლოთ მატერიალური სივიწროვის გამო დაადგა. მიზეზი, რასაკვირველია, პატივსადებია, მაგრამ მაინც არ შეგვიძლია არ გამოვთქვათ ამის გამო მწუხარება და შიში, ვაი თუ ფეხზე დაყენებული საქმე შეფერხდეს.

* * *

საქართველოს შუაგულათ დასაბამიდანვე ითვლება ქართლი, ხოლო ქართლის ცენტრი დღეს ქალაქი გორი არის. ამ ქალაქში რამდენიმე საშუალო და დაწყებითი სასწავლებელია. მაში მოზარდი თაობა საკმაოთაა შეგროვილი, სამაზრო დაწესებულებათა მოხელეები და მოქალაქენიც საკმაოთ არიან. მარა ახირებული ხალხი კი ყოფილა [illegible] წარმოიდგინეთ, ჯერაც არ იციან, თუ რა არის სამკითხველო, ჯერაც არ მოუსურვებიათ ასეთი საჭირო დაწესებულება [illegible] ჩინონ. ნეტავი რას აპირებენ დალოცვილი გორელები [illegible] შეიძლება ისინი იწუნებენ თანამედროვე განათლებას და სულ სხვა ნაირ განვითარების გზას ადგანან?

* * *

ჩვენში ეგრეთ წოდებული საზოგადო მოღვაწეობა ჯერ კიდევ რაღაც თავშესაქცევი საქმეა. შეგიძლიათ ბევრი იყვიროთ, ცოტა იშრომოთ, შეგიძლიათ ბევრი დაპირდეთ და არ შეასრულოთ. სხვათა შორის ასე მოსვლიათ ჭიათურელებსაც. იქ განიზრახეს საკვირაო შკოლის დაარსება და კიდეც დაარსეს. მაგრამ იქაურ ახირებულ „მოღვაწეთ“ იმდენათ ცოტა იმედი ქონებიათ თავის თავის, რომ ქაღალდზე აღუნიშნავთ თავისი დაპირება. აი ეს ქაღალდიც: „ს. ჭიათურა, 10 სექტემბერი 1091 წ. შევიკრიბენით საკვირაო შკოლის ქითხვების გამოსარკვევათ და შემდეგ დასკვნას დავადექით: რაც შეეხება შკოლაში მუშაობას, გაკვეთილების მიცემას, ჩვენ, აქ მოხსენებულნი პირნი, სურვილს ვაცხადებთ, რომ გულმოდგინეთ ვიმუშაოთ, რითი და როგორც კი შეგვეძლება, რასაკვირველია, ჩვენი ჭიათურაში ყოფნის დროს“. ამ ახირებულ დოკუმენტზე, რომლის არსებობა თავისთავათ ამტკიცებს მაზე ხელისმომწერთა სიმჩატეს, ხელი უწერია ჭიათურის თითქმის სულ ყველა „ახალგაზდებს“, მაგრამ საქმე სწორეთ ხელის მოწერით დასრულებულა. თითქმის სულ არც ერთი ზემოხსენებულ ქაღალდზე ხელის მომწერი დღეს შკოლას ყურს აღარ უგდებს, თვით ადგილობრივი ექიმიც კი, რომლის მონაწილეობა მეტათ საჭიროა ამ საქმეში. გასაკვირველია, თქვენმა მზემ, ან რას პირდებოდით, ან რაღას მიიმალეთ აქეთ-იქით?

* * *

ცხინვალს ესტუმრა უბედურება. ცეცხლმა გაანადგურა თითქმის მთელი დაბა. ჩვენში საზოგადოთ, თუმცა სიმდიდრით ვერ დავიკვეხნით, მარა გაჭირვებაში ერთმანეთის დახმარება მაინც ვიცით. იმედია, ახლაც არ დაგვავიწყდება დაჩაგრულები. მით უმეტესათ საჭიროა ყურადღების მიქცევა, რომ დაზარალებულნი ებრაელებია. ამ ნიჭიერ ხალხს, მთელ ქვეყანაზე მოპნეულს, ჩვენშიაც საკმაო წარმომადგენელი ყავს. მართალია მას სხვა ეროვნებათა ერთი ნაწილი ვერ ეპყრობა შესაფერი პატივისცემით, მარა ამის მიზეზი ისევ თვით ამ ნაწილის გაუმაძღრობა, შურიანობა და დაუნდობლობაა. მართალია, ჩვენი ისტორია ვერ დაასახელებს გამოჩენილ ებრაელთ, რომელთაც რაიმე თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღოდეს ჩვენი ერის წინაშე, მარა ეს ხომ ჩვენივე განუვითარებლობის ბრალია და არა იმისი, რომ ჩვენი ებრაელები სხვა ხალხში დაფანტულ ებრაელებზე ნაკლები ნიჭის იყვენ. თუმცა ამ მხრით ჩვენმა განუვითარებელმა კულტურამ ებრაელებს ვერაფერი ხელი შეუწყო, მარა სამაგიეროთ არც ესდევნიდით მათ და გაჭირვებაშიაც შეძლების დაგვარათ ვშველოდით. იმედია, ჩვენი საზოგადოება ახლაც არ დაივიწყებს დამშეულთ და უბინაოთ დარჩენილებს.

* * *

ძველი დრო იყო დრო ქეიფისა. როგორც ველური, როცა საქმელს იპოვის, მინამდი ჭამს, სანამ არაქათი სრულიათ არ გამოელევა და შემდეგ კიდევ ცოლს თხოვს, რომ პირში ჩააჩაროს, ასე იყო ჩვენშიც წინეთ. რასაც იშოვნიდენ, ერთათ ჩაყლაპავდენ. სად იყო დაზოგვა და მომავალზე ზრუნვა. ეს ძველებური ჩვეულება თავის თავის განადგურების, გაოხრების დღესაც საკმაოთ შეგვრჩა. ჩვენებური ქორწილი, ეს ქორწილი და მხიარულება კი არაა, ეს გაღატაკებაა, დაღუპვაა, ასეთი ჩვეულებაა ტირილი. არ ჩამორჩება მათ ევრეთ წო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებული დღეობაც. თითეული ასეთი შემთხვევა რამდენიმე წლით აძაბუნებს და ავალიანებს ისეთაც დაუძლურებულ ოჯახს. თუ წინეთ კიდევ ვერავინ ვერ ახერხებდა ასეთ ჩვეულებების წინააღმდეგ წასვლას, დღეს უკვე აქა-იქ ისმის პროტესტის ხმა. რამდენიმე წლის წინეთ გურიის ერთ სოფელში გადაწყვიტეს—მოესპოთ წინანდებურათ ტირილი. სხვაგანაც გაძლიერდა ასეთი სურვილი და საზოგადოთ ხალხში წინანდელი დაუზოგველობა თან და თან ადგილს უთმობს მომჭირნეობას და მომავალზე ფიქრს. სწორეთ სასიამოვნო წერილს ვკითხულობთ ამის შესახებ „ცნ. ფურცელში", ცქიტიშვილების გვარეულობისაგან. ეს წერილი იმდენათ საყურადღებოა, რომ სავსებით მოგვყავს აქ. „დიდის მოწიწებითა და მორიდებით ვაცნობებთ, ნათესავთა და მეგობართ, რომ დღეიდან აღარ ვიხდით დღეობა მარიობას, რომელსაც ჩვეულებრივ ვიხდიდით ყოველ წლივ 15 აგვისტოს სოფელ შროშაში, შორაპნის მაზრაში.

ხსენებულ დღეობის მიტოვების მიზეზი ის არის, რომ ყოველთვის უზომო სმა იმართება, რასაც მოზდევს ჩხუბი, აურ-ზაური და ხშირათ კაცს კვლაც. როგორც ხედავთ, დღეობა ორნაირათ საზარალო ყოფილა: უაზროთ ფულსა ვხარჯავთ და ერთმანეთს ვჩხავთ. თუმცა ამ მასპინძლობას საუფლო დღეობას უწოდებენ, მაგრამ შედეგი კი, ვგონებ, სასიამოვნო არ უნდა იყოს არც უფლისათვის და არც კაცისათვის. ჩვენდა წილათ დღეიდან აღარა ვმართავთ მასპინძლობას ხსენებულ დღეობის დროს და აღარც არავის ვპატიჟებთ".

ფრიად სასიამოვნოა ასე გულახდილათ ძველი, უვარგისი ჩვეულების დაწუნება. სასურველია, სხვებმაც დაეკითხონ კეთილგონიერებას და მავნე ჩვეულებებს თავი გაანებონ.

სხვა-და-სხვა ამბები.

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კავკავის სკოლაში ორი მასწავლებლის თავისუფალი ადგილი ითხოვა რამდენიმე კაცმა. ერთი მასწავლებელი უეჭველათ გალობის მცოდნე უნდა იყოს. თხოვნების განსახილველათ გამგეობას ახლო მომავალში ექნება სხდომა.

ქალაქის გამგეობას შეუმუშავებია წეს-რიგი, თუ როგორ უნდა მოხდეს საბჭოს ხმოსნების არჩევანი. არჩევნები მოხდება 26 სექტემბერს. ამომრჩეველთა სიებს გამოაქვეყნებენ 21 აგვისტოს. გამგეობამ უნდა შეადგინოს კანდიდატთა საერთო სია. ამ აზრით 21 აგვისტოდან 6 სექტემბრამდე იგი მიიღებს ამომრჩეველთაგან განცხადებებს და სიებს კანდიდატებისას. ასე შედგენილ სიას გამგეობა გამოაცხადებს ადგილობრივ გაზეთებში. კანდიდატებმა წინ და წინვე უნდა აცნობონ გამგეობას, თანახმანი არიან თუ არა კენჭის ყრისა. ვინც არ აცნობებს, იქნება სიიდან გამორიცხული.

მიწათ-მოქმედების დეპარტამენტის დირექტორი თავ. ვ. ი. მასალსკი შარშან შემოდგომაზე გამოგზავნილი იყო ბათუმის ოლქში სახელმწიფო მიწების დასათვალიერებლათ. თავ. მასალსკის ანგარიში წარუდგენია მიწათ-მოქმედების მინისტრისა-ავის და განუცხადებია საჭიროა ბათუმის მახლობლათ გაიმართოს ფორთოხალისა, ლიმონისა, მანდარინისა და სხვა ნაზ მცენარეთა სანერგეო. მინისტრს განუხილავს ეს განცხადება და მეტათ სასურველათ უცვნია ამ აზრის განხორციელება. მინისტრის მინდობილებით ამ დღეებში მიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა დაავალა მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულს ბ-ნ მედვედიევს გამოარკვიოს—არის თუ არა ქ. ბათუმის მახლობლათ აღნიშნულ სანერგესათვის მოხერხებული სახელმწიფო მიწა. ამასთანავე დეპარტამენტი თხოვს შეატყობინოს, რა დაჯდება სანერგეს გამართვა და მოწყობა.

თფილისის ვაჟთა მესამე გიმნაზიის მთავრობას ჩათვლილებით, საერო განათლების სამინისტრომ ნება დართო, ამ გიმნაზიის პანსიონი დახურონ, რადგანაც გიმნაზიას შეძლება არა აქვს თავის ხარჯით შეინახოს პანსიონი, ხოლო მოსწავლეთა მიერ შემოტანილი გარდასახადი ვერ ასდის ხარჯს. ამის გამო გიმნაზიის ადმინისტრაციამ წერილობით აცნობა ბავშვების მშობლებს, რომ ეხლავე იზრუნონ თავიანთ შვილების დაბინავებაზე კერძო ოჯახებში.

საცხენისის სასწავლებლის საპედაგოგო საბჭო (ეხლა ეს სასწავლებელი ყვარელშია) აცხადებს, რომ პანსიონში 45 თავისუფალი ვაკანსია გვაქვს, რომელნიც შეუძლიანთ დაიჭირონ და სახელმწიფო ხარჯით გამოიზარდონ თავად-აზნაურთა და სხვა საპატიო წოდებათა შვილთა. თხოვნები უნდა მიერთვას საჭირო საბუთის ქალალდებით სწავლა-განათლების მზრუნველს კავკასიაშიო.

გზათა სამინისტროს აღუძრავს ლაპარაკი, რომ ქალაქ კავკავში დაარსდეს სარკინისგზო-სატექნიკო სასწავლებელი

---

15 ივლისს დაბა ცხინვალში გაჩნდა მძლავრი ცეცხლი, რომელმაც გადაბუგა 240-დე სახლი. ზარალი მეტათ ძლიერია მეტათ საგრძნობლათ დაზიანდა ებრაელების უბანი. საჭიროა გარეშე დახმარება. შემოწირულება მიიღება თფილისის გუბერნატორის კანცელარიაში და გორში გორის უფროსთაან.

ბაქოს გუბერნატორმა საერთო დებულების 421, 422 და 423 მ. ძალით გამოსცა სავალდებულო დადგენილება, რომელიც შეეხება ქალაქებს ყუბას, შემახას და ლენქორანს, დაბებს სალიანს და გეოგჩაის; ამ დადგენილების ძალით აკრძალულია ხალხის ყრილობა მოედნებზე, ბაღებში, ქარვასლებში და სხვა საზოგადო ადგილებში საზოგადოებრივ წესიერების და მშვიდობიანობის წინააღმდეგ ბჭობისათვის, აკრძალულია აგრეთვე გარეშე მაყურებლების თავისმოყრაც.

ამას წინეთ ქუთაისის ქალაქის საბჭოს მდივნათ არჩეულ ვ. კანდელაკს წერილობითი განცხადება შეუტანია ქალაქის გამგეობაში, სადაც უარს აცხადებს მდივნობაზე. კანდიდატათ ასახელებენ ი. ქაჩუხაშვილს.

განჯის წმიდა ნინოს სასწავლებელში მიმდინარე წლის-პირველ სექტემბრიდან გაიხსნება მეექვსე კლასი, ხოლო მომავალ წლის სექტემბერში მეშვიდე,

---

დრამატიული საზოგადოების გამგეობამ იჯარით მისცა ქართველ თავად-აზნაურთა თეატრი თ. ა. ა. წერეთელს, რომელიც მომავალ სეზონში ხსენებულ თეატრში მოაწყობს ოპერას.

---

12 ივლისს გარდაიცვალა ცნობილი კ. ბ. იანოვსკი. ის 23 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ოფიციალური სწავლა განათლების საქმეს ჩვენში. საზოგადოთ მან დიდი მხნეობა გამოიჩინა თავის მოღვაწეობაში. ის იყო დახელოვნებული მოხელე და ცდილობდა მუდმივ უმაღლესი მთავრობის განზრახულებათა სავსებით აღსრულებას.

კორესპონდენცია.

ᲭᲘᲗᲣᲠᲐ. ცᲮᲚᲘᲔᲠᲘ სიტᲧᲕᲔᲑᲘ, გᲐᲡᲖᲔᲗᲔᲑᲨᲘ სᲐᲩᲘᲕᲠᲔᲑᲘ ᲭᲘᲗᲣᲠᲐᲨᲘ ცᲔᲪᲮᲚᲘᲡ სᲐᲥᲛᲔᲑᲘ მᲘᲜᲥᲐᲜᲘᲡ უᲤᲝᲜᲚᲝᲑᲘᲡ შᲔᲡᲐᲮᲔᲑ, მᲝᲠᲩᲐ და გᲐᲗᲐᲕᲓᲐ. რᲐᲛᲓᲔᲜᲘᲪ გᲘᲜᲓᲐ ᲬᲔᲠᲔ, თᲐᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ შეᲘᲬᲣᲚᲔᲑᲡ. რᲐᲛᲓᲔᲜ შᲘᲨᲘᲡ და გᲐᲭᲘᲠᲕᲔᲑᲐᲨᲘᲐ ᲐᲛᲘᲡ გᲐᲛᲝ ᲭᲘᲗᲣᲠᲘᲡ მᲪᲮᲝᲠᲔᲑᲜᲘ და მᲝᲑᲘᲜᲐᲕᲔᲑი, მᲝᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘთ ᲕᲔᲠ დᲐᲣᲫᲘᲜᲐთ, რᲐდᲒᲐᲜ უᲝᲕᲔᲚ ᲬᲣᲝᲨᲘ ცᲔᲪᲮᲚᲘᲡ გᲐᲩᲔᲜᲘᲡ შᲘᲜᲘ თᲐᲕᲘᲡᲐᲠᲘᲡ ცᲔᲛᲡ. 1900 Წ. ᲭᲘᲗᲣᲠᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ შᲔᲜᲝᲑᲔᲑი გᲐᲓᲐᲘᲑᲣᲗᲐ და ᲐᲛ გᲐᲭᲘᲠᲕᲔᲑᲘᲡ დᲠᲝᲡ ცᲔᲪᲮᲚᲘᲐᲜ შᲔᲜᲝᲑᲔᲑᲡ ᲕᲔᲓᲠᲝᲔᲑით და დᲝᲥᲔᲑით ᲐᲡᲮᲐᲛᲓᲔᲜ ᲬᲔᲐᲓᲡ და, ᲐᲓᲕᲘᲚი ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲡᲓᲔᲒᲔᲜᲘᲐ, რᲝᲛ ᲐᲛ ᲡᲐᲨᲐᲚᲔᲑᲘთ თᲕᲝᲜს ᲕᲔᲠ გᲐᲕᲘᲓᲝᲓᲔᲡ და ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠი ᲑᲐᲖᲠᲘᲡ დᲣᲤᲜᲔᲑი და შᲔᲜᲝᲑᲔᲑი ძᲚᲘᲔᲠᲛᲐ ცᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲐᲓᲛᲐ შᲝᲐᲜᲗᲥᲐ. ᲡᲮᲕᲐ შᲔᲜᲝᲑᲔᲑს რᲝᲛ ᲐᲠ გᲐᲓᲐᲡᲯᲔᲑᲘᲝᲗ ცᲔᲪᲮᲚᲘ, ᲬᲘᲜᲐ შᲔᲜᲝᲑᲔᲑს ᲐᲜᲒᲠᲔᲕᲓᲔᲡ და ცᲔᲪᲮᲚᲡ ცᲐᲚᲘᲔᲠ ᲐᲓᲒᲘᲚს ᲐᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲓᲔᲡ. „გᲘᲜᲓ ᲜᲐᲛᲡ დᲐᲣᲠᲩᲕᲘᲕᲠ და გᲘᲜᲓ ᲜᲐᲛᲘᲡ ᲬᲣᲐᲚᲡᲐᲗ“, იᲛᲘᲡი ᲐᲠ იᲣᲗ, ᲡᲐᲮᲚᲘᲡ პᲐᲢᲠᲝᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ სᲣᲚ ᲔᲠთი იᲣᲗ, თᲐᲕᲘᲡ ᲭᲝᲜᲔᲑᲐᲡ ᲘᲡ მᲐᲘᲜᲪ ᲔᲡᲐᲚᲛᲔᲑᲝᲓᲐ, რᲐდᲒᲐᲜ შᲔᲜᲝᲑᲘᲡ დᲜᲒᲠᲔᲕᲘᲡ დრᲝᲡ ᲣᲣრᲐᲓᲦᲔᲑᲘᲡ მიქᲪᲔᲕᲐ მᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ მთᲔᲚᲐთ გᲐᲓᲐრᲩᲔᲜᲐᲖᲔ შᲔᲣძᲚᲔᲑᲔᲚი იᲣᲗ. ᲬᲔᲚს კიდᲔᲕ ᲕიდᲐᲪ ᲐᲮᲘრᲘᲡᲣᲚი ᲮᲡᲘᲐთᲘᲡ პᲐᲢᲠᲝᲜᲔᲑი გᲐმᲝᲩᲜᲓᲔᲜ, რᲝმᲚᲔᲑᲘმაც დᲐიᲩᲔმეს ᲩᲣმთ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ცᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲬᲐკიდᲔᲑᲐ და ᲐᲛ დᲐᲩᲣმᲔᲑᲘᲡ მᲘᲡᲮᲕᲔᲠᲓᲚი გᲐᲮᲗᲐ 5—6 დუქᲜᲘᲡ შᲔᲜᲝᲑᲐ. ᲑᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲡ შუმდეგ ცᲔᲪᲮᲚი ᲬᲐᲔკიდ კ. ბ. ᲡᲐᲮᲚს, რᲝმᲚᲘᲪ ᲘᲡᲔ დᲐᲜᲐᲪᲠდᲐ, რᲝმ ᲬᲕეთი ᲬᲣᲚით ᲐრᲐვინ მიᲨᲕᲔდᲔᲑᲘᲐ. 12-Ს ᲘᲕᲚᲘᲡს ცᲔᲪᲮᲚი გᲐᲣᲜᲓᲐ, თუ გᲐᲣᲩᲘᲜᲔს, თ. მიქᲔᲚᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲚს და ᲘᲡიᲪ იქᲫᲕᲔ დᲐᲜᲐᲪᲠდᲐ. კიდᲔᲕ დმᲔრთმᲐ უშᲕᲔᲚᲝᲡ რკᲘᲜᲘᲡ გზᲘᲡ მᲝᲡᲐმᲡᲐᲮᲣრᲔ ᲮᲐᲚᲮᲚᲡᲐ, რᲝმᲚᲔᲑიᲪ თᲐᲕᲘᲡ გᲐმᲝᲚᲔᲑით შᲕᲔᲚᲝᲓᲔᲡ დᲐᲜᲐრᲩᲣᲜ შᲔᲜᲝᲑᲔᲑს, რკᲘᲜᲘᲡ გზᲘᲡ საქრᲝᲑი მᲐᲜქᲐᲜᲐᲪ მᲝᲐშᲕᲔᲚᲔს და სᲬᲝრᲔთ მᲐᲗი წᲣᲐᲚᲝᲑᲘთᲐᲐ, რᲝმ გᲐრᲨᲔმᲝ 7 ᲮᲘს შᲔᲜᲝᲑᲐ დᲐწᲕᲘსᲒᲐᲜ გᲐდᲐრᲩᲐ. ᲐᲛ შუმᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ თᲐᲕᲒᲐმᲝᲓᲔᲑით მუშᲝᲑᲓᲐ რკᲘᲜᲘᲡ გზᲘᲡ ᲢᲔᲮᲜიკი საᲗᲐრᲝ. Ნუ თუ დრᲝ Არ ᲐრᲘს, რᲝმ ᲒᲘᲡგᲐᲜაც ᲯᲔრ Არს ეურᲐᲓᲦᲔᲑᲐ მიᲐქᲪიᲝს ᲕᲔᲚᲐ ᲐᲛ გᲐრემᲝᲔᲑᲡ და შუმდეგᲨᲘ მᲐᲘᲜᲪ იᲖრუᲜᲝს უᲑᲔᲓურᲔᲑᲘᲡ ᲐᲡᲪიᲓᲔᲑᲓᲐთ და ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ საქრᲝᲑი მᲐᲜქᲐᲜ შეგᲕაძᲔᲜიᲝს.

რᲐᲮᲐᲜ შარშᲐᲜᲓᲔᲚმᲐ კრიზᲘსმᲐ სᲐსᲝწარკᲕეთიᲓᲔᲑᲐს მიგᲕᲪᲐ და უიმეᲓᲝᲑᲘᲡ ᲑᲣრუᲜᲨᲘ გᲐᲒᲕᲮᲕᲐ, თუმᲪᲐ დᲓეს უᲪᲮᲕᲔᲓი საᲑუთᲔᲑი გᲕაქᲕს, რᲝმ ᲐᲛ ᲑᲣრუᲜᲘᲡ თᲕრᲓᲐ ᲐხᲓიდᲐ, მᲐგრᲐმ ჩᲕᲔᲜ მᲐᲘᲜᲪ ᲕᲔრ წარმᲝᲒᲕიᲓᲔᲒᲔᲜᲐ. თუ ᲕᲘᲜმᲔმ ᲮᲔᲚშᲘ კᲐᲠᲒᲘ ᲐიᲓᲝ ᲭᲘᲗᲣᲠᲐᲖᲔ რᲐმᲔს დᲐსაწერᲐთ, უთუᲝთ ᲑᲘრᲕᲔᲚ ᲝᲕᲔᲚᲘᲡ ძᲕᲔᲚი ᲭᲘრი უᲜᲓᲐ გᲐიᲡᲔᲜᲝს: „ᲕიᲓუᲑᲔᲑით, კრიზᲘსი სუᲚს გᲕიხუთᲐᲕს“-Ო. მხᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑიᲓᲐᲜ უშᲕᲔᲑᲔᲜ, რᲝᲛ Ამ დრᲝᲔᲑით ᲭᲘᲗᲣᲠᲘᲡ მრეწᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ საქმე წᲘᲜ ᲜᲐᲑიჯ წᲐᲓᲒუᲚᲘᲐ. ᲐმᲮᲐᲜᲐგᲝᲑᲐმ „შᲐვი ქᲕᲐ“ კᲐრგᲐ ᲮᲐᲜიᲐ დᲐიწᲧᲝ თᲐᲕᲘᲡ მᲝქმᲔᲓᲔᲑᲐ ᲭᲘᲗᲣᲠᲐᲨᲘ და ᲭᲘქᲐᲣრᲨიᲓᲐც, ᲑᲘრᲕᲔᲚ ᲐᲓგიᲚᲗᲐ ერთი ᲑᲐქᲐᲜი უკᲕე გᲐᲕᲨᲕᲔს და ᲔᲮᲚᲐ მეᲝრე ᲐᲓგიᲚᲗᲐ მიᲐქᲕთ; მᲐᲮᲐᲜᲓის გᲕᲐრᲐთ ᲨᲣᲚს დრᲝᲗᲐ იᲓᲔᲑᲔᲜ, თუმᲪᲐ გᲗᲐᲕᲐᲜ კი ᲯᲔრ Არ დᲐუწᲧᲘᲐთ· ᲐმᲮᲐᲜᲐგᲝᲑᲘᲡ ᲐᲡᲔთმᲐ მᲝქმᲔᲓᲔᲑᲐმ სᲮᲕᲐ ეკᲡᲞᲠᲢიᲝრᲔᲑიᲪ გᲝᲜს მᲝიეᲕᲐᲜᲐ. ᲐმᲮᲐᲜᲐგᲝᲑᲘᲡ გᲐრეშე დᲐრჩᲔᲜილ ᲑᲘრᲔᲑს ძᲕᲔᲚᲔᲑᲘრᲐთ ᲮᲔᲚს ᲐᲓრ უᲭᲔრᲜ და ᲑᲘრ ᲐქᲔთ ᲔᲮᲢიეᲣᲚᲔᲑიᲐᲜ ქᲕᲘს მᲝტᲐᲜᲐს. მᲐდᲜᲔᲑᲨᲘ მეუშᲝᲑᲐ გᲐᲩᲐდᲓᲐ. ძᲕᲔᲚ, დᲐᲜგრეეულ მᲐდრᲝᲔᲑს წᲛᲔᲜᲓᲐᲕᲔᲜ, იშᲕიᲐთᲐთ ᲑᲔᲣᲕᲓᲔᲑით ᲘᲡეთ კეთᲘᲡ, სᲪᲐ შᲐვი ქᲕის მეუშᲝᲑᲐ კი ᲝᲠᲝᲕᲔᲓᲐ, რᲝᲛ კᲕᲔᲚᲐ გᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑეეული მეუშᲝᲑᲐ Არ იᲣᲗ, რᲐᲪ ნიშᲜᲘᲐ იᲛᲘს, რᲝᲛ წარმᲝᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲡᲐᲣრᲔᲓᲐ. მᲐრგᲐᲜᲔᲪიᲐᲜი ᲐდგილᲔᲑᲘᲡ თᲕᲡᲔᲑᲛᲐ შეᲡᲐმᲩᲜᲔᲕᲐთ Აიწია, წᲘᲜᲐᲜდᲔᲚᲖᲔ სᲐმᲯᲔრ მᲔტს თᲕᲡᲝᲑს. შეძᲔᲑეეული მწარმᲝᲔᲑᲔᲚᲔᲑᲘᲡ ეურᲐᲓᲦᲔᲑᲐ იქიᲝკᲔᲜᲐ მიქᲪᲔᲣᲚი, რᲝᲛ რᲐმᲔ ᲜᲐᲘრᲐთ ᲐდგილᲔᲑი შეᲘძᲘᲜᲝᲗ, რᲐდᲒᲐᲜ შᲔᲜᲝᲑᲔᲜ სᲯᲘრᲝ ქᲕის მიᲓᲔᲑ Არ გᲐუᲯᲘრᲓᲔთ. მᲐდᲜᲔᲑის მეუშᲝᲑᲐ იმᲓᲔᲜᲐთ წარმᲐტᲔᲑით მიᲓის, რᲝᲛ მეუშᲔᲑის და ᲩᲐᲯᲓᲔᲑᲔᲚᲔᲑის რიცხვი Არ ეᲝᲗᲜᲘთ და ერთი ᲐმᲓᲔᲜიც რᲝᲛ იეᲗᲕᲔს, ᲔᲚᲔᲚᲐ სᲐმეუშᲐᲠს იᲨᲝᲗᲕᲔს. დᲓე და ᲓᲐმეᲨᲘ 9 წᲣᲕᲘᲓი მᲐრგᲐᲜᲔᲪᲘᲡ გᲐდᲐსᲐᲮიᲓᲐᲕი მᲐტᲐრᲔᲑᲔᲚᲘᲐ დᲐᲜიშᲜᲣᲚი, რᲐზᲔᲓაც მᲔტი ᲯᲔრ ᲐრᲐᲝᲓეს Არ ეᲝᲗᲘᲓᲐ და კიᲓᲔᲕ მᲔტიც რᲝᲛ იეᲗᲐ, სᲐᲯᲘრᲝᲐ. Ნუ Ოუ ᲔᲚᲔᲚᲐ ᲔᲡ სᲐᲛᲐᲝ Არ ᲐრᲘს, რᲝᲛ შᲐვი ქᲕის მრეწᲕᲔᲚᲝᲑᲐ შეᲡᲐმᲩᲜᲔᲕᲐთ წᲘᲜ მიᲓის! თუ ძᲕᲔᲚᲔᲑეურᲐთ, ჩᲕᲔᲜᲔᲑეურᲐთ უᲕᲐრგის მᲐდᲜს ᲕᲔრ გᲐᲡᲐᲓᲔᲑთ, რᲝᲛᲔᲚᲛᲐც დᲐᲡᲪᲐ გᲐᲡᲣᲚ წᲔᲚს ᲭᲘᲗᲣრის მრეწᲕᲔᲚᲝᲑᲐ, შეᲑᲓᲐᲚᲐ იᲛᲘს სᲐხᲔᲚი და რᲐᲪ თᲐᲕი და თᲐᲕი მიზეზი იეᲗ მრეწᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ დᲐᲪᲔმᲘᲡ, ეს იᲛᲐს Არ ნიშᲜᲐᲕს, რᲝᲛ კᲕᲚᲐᲕ კრიზᲘსი მეᲗᲝᲑᲓᲔს.

თეᲐᲢრის სეზᲝნი გᲐნᲐხლდა. რᲐᲪ გეᲜიᲐ გᲕᲐᲠᲡᲚᲔᲑᲓᲔᲒ თიᲗᲥᲛის ᲝᲗᲮᲔᲚ კᲕირᲐᲨი წარმᲝᲓგᲔᲜᲔᲑი იმᲐრთᲔᲑᲐ. ᲮᲐᲚᲮი ᲑᲚᲝᲛᲐთ ესწრᲔᲑᲐ და წარმᲝᲓგᲔᲜით კმᲐᲝᲗᲘᲚი რჩᲔᲑᲐ, მᲮᲝᲚᲝᲓ Არ შეᲒᲕიძლიᲐ Არ ᲐᲓᲕᲜიშᲜᲐთ შუმᲓეგი გᲐრემᲝᲔᲑᲐ: თეᲐᲢრᲨი წესიᲔრᲔᲑᲐ ᲐრᲐსᲠᲣᲚᲓეს Არ იცᲕᲔᲑᲐ. თუ კი ᲑიᲚეთᲔᲑი ᲮᲔᲚთ იᲒᲔᲚᲓეს, საქმე მᲝᲡწრᲔᲑᲐზეა, ᲕᲘᲜც სᲐᲓ მᲝᲡწრᲐᲝᲑს დᲐᲯᲓᲐᲛᲐს, სუᲚ ერთია, ეკეთᲕᲜᲘᲡ მᲐს ის რიგი თუ ᲐრᲐ. თეᲐᲢრის ᲐდმინისტრᲐᲪიᲐ ᲐმᲐზე სუᲚᲐᲪ Არ იწუᲮᲔᲑს თᲐᲕს; საკᲕირᲕᲔᲚიᲐ, რᲝᲛ ᲐᲕᲔრ Ორი წᲔᲚᲓიწᲔᲚᲓᲐ აქ წარმᲝᲓგᲔᲜᲔᲑი იმᲐრთᲔᲑᲐ და ერთხᲔᲚᲐᲪ Არ ვᲔᲓიᲠᲡᲔᲑიᲕᲐრთ, რᲝᲛ სᲯᲘრᲝ დისᲪიᲠᲓᲘᲜᲐ დᲐᲪᲣᲚი ეᲝᲗᲘᲓᲘეᲗᲝს. ᲣᲕᲔᲚᲐზე სიმწუᲮᲐრᲝ ის ᲐრᲘს, რᲝᲛ რიᲪᲔᲑᲘᲡ შუᲐ ᲐდგილᲖე დᲒᲔᲑიᲐᲜ ᲝᲕᲔᲮᲖე და Ამ ᲜᲐირᲐთ კᲐᲜᲐᲮᲘრᲐს ᲕᲘᲜც სᲮᲔᲚᲐᲜ, იმᲐთ ᲐᲓᲐრ შეუძᲚიᲐთ სცᲔᲜᲘᲡ დᲐᲜᲐᲮᲕᲐ. Ამ ᲩᲕეეულᲔᲑᲐმ იმᲓᲔᲜᲐთ ᲝᲕᲔᲮᲕი მᲝიკიᲓᲐ, რᲝᲛ მეᲝრე მᲝქმᲔᲓᲔᲑᲐზᲔ ᲜᲐხᲕᲐრი ᲮᲐᲚᲮი იძეულᲔᲑეულიᲐ ᲝᲕᲔᲮᲖე იᲓგეს, დᲐᲜᲐრᲩᲔᲜᲔᲑი, კᲐრᲓᲐ ᲮᲘრᲕᲔᲚი რიგისა, თიᲗᲥᲛის ეᲕᲔᲚᲐᲜი ᲝᲕᲔᲮᲖე დგᲐᲜ. ᲮᲐᲯᲘრᲝᲐ ᲕᲘᲡიᲪ ᲯᲔრ Არს და იქᲜᲔᲑᲐ ეურᲐᲓᲦᲔᲑᲐ მიᲐქᲪიᲝᲜ, რᲝᲛ შუმᲓეგᲨᲘ ᲐᲓᲠᲔ გᲐნმᲝრᲓეს ᲐᲡეთი უწეს-რიგᲝᲑᲐ. 14 და 15 Ამ თᲕეს დ. ᲩᲐრგᲕიᲐნის თᲝᲑᲘთ და ვ. მᲔᲡᲮიშᲕᲘᲚის მᲝᲜᲐწიᲚეᲝᲑით დიᲓგᲐ: ᲑᲘრᲕᲔᲚ დᲐმეს „კრეᲩᲘᲜᲡკᲘᲡ ქᲝრწᲘᲜᲔᲑᲐ“ და „სიᲓᲔᲓრი მᲐიᲐ“. უკრᲐᲕᲓᲐ ᲣᲕᲘრᲘᲚის დეᲩᲝს მეᲡიკᲐ, მᲔᲝრეს— ცᲮᲝრᲕᲔᲑის გმᲘრი“ და „ᲓᲣᲚᲘ.“ ᲑᲘრᲕᲔᲚი დᲐმის ᲑიᲔᲡ ᲐრᲐᲕᲠᲗ მᲝწᲝᲜᲔᲑიᲐ ᲮᲐᲚᲮᲡ, თუმᲪᲐ უᲜᲓᲐ ᲕთქᲕᲐთ, რᲝᲛ მᲡᲮᲘᲝᲜᲘ მეᲢᲐთ მᲝᲮᲓᲔᲜილᲐთ და მეᲛᲕᲔᲜიᲕრᲐთ ᲐᲡრუᲚᲓᲔᲓᲔᲡ თᲐᲕიᲐᲜთ რᲝᲯᲔᲑს. ერთი სიტᲧᲕᲘთ თᲕიᲗᲝᲜ ᲑიᲔᲡ „კრეᲩᲘᲜᲡკᲘᲡ ქᲝრწᲘᲜᲔᲑᲐ“ რᲐᲪᲐ Არ იᲣᲗ ᲩᲕᲔᲜი მᲮᲐრᲘᲡ ცᲮᲝრᲕᲔᲑᲐზე გᲐმᲝᲬᲠილი და ᲐმიტᲝმ ᲕᲔრᲐᲗᲕᲔრი შეᲗᲐᲑᲔᲭᲓილᲔᲑᲐ მᲝᲮᲓᲘᲜᲐ მᲐᲣრᲔᲑᲚᲔᲑᲖᲔ, ᲐმიტᲝმ მეᲝრე დᲐმეს ᲮᲐᲚᲮი ნაკᲚᲔᲑᲐთ დᲐᲔᲡწრᲝ, მᲐგრᲐმ „ცᲮᲝრᲕᲔᲑის გმᲘრᲨი“ ᲢეᲢიᲐს რᲝᲚᲨი მეᲡᲮიშᲕᲘᲚის თᲐმᲨᲝᲑᲐმ მᲐეურᲔᲑᲚᲔᲑი ᲐᲓᲢᲐᲪᲔᲑᲐᲨი მᲝიეᲕᲐᲜᲐ, ᲢᲐᲨის ᲪᲔმᲐს და „ᲕᲐშᲐს“ ძᲐᲮიᲚს ᲡᲐᲮᲚᲕᲐრი Არ ქᲝᲜᲓᲐ. უᲜᲓᲐ ᲕთქᲕᲐთ, რᲝᲛ უკეთᲔᲡი შᲔᲗᲐᲑᲔᲭᲓილᲔᲑᲐ ᲮᲐᲚᲮᲖᲔ ᲯᲔრᲔ ᲐრᲪ ერთ წარმᲝᲓგᲔᲜᲐს Არ მᲝᲣᲮᲓᲔᲜიᲐ; ᲣᲕᲔᲚᲐს გუᲚᲘᲡ სიᲓრმᲔᲛᲓი ᲩᲐწᲕᲔᲓ ᲣᲕᲔᲚᲐ მᲝქმᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲜᲐმᲓᲕᲘᲚი მᲜიშᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ. იქᲕᲔ შეᲐგრᲝᲕᲐ ბ. ნ. ᲝᲗᲮᲛეᲖᲣრმᲐ 35 მᲐᲜეთი და მიᲐრთᲕᲐ მᲔᲡᲮიშᲕᲘᲚს მᲐᲓᲚᲝᲑᲘᲡ ნიშᲜᲐთ, ᲡᲮᲚᲮᲝრᲐთ. ბ. ᲩᲐრგᲕიᲐნიც რიგიᲐნᲐთ თᲐმᲨᲝᲑᲓᲐ თᲐᲕის რᲝᲚს.

კᲐმᲐთᲔᲚი.

სᲐᲖᲦᲕᲐრ-ᲒᲐრეთ.

ᲡᲐᲤრᲐᲜგეთი. დᲓეს ᲡᲐფრᲐᲜგეთᲨᲘ გᲐᲩᲐᲓᲔᲑᲣᲚიᲐ ძᲚᲘᲔრი მᲝქᲐᲓᲐქეᲝᲑრიᲕი ᲑრძᲝᲓᲐ. მᲗᲔᲚი ქᲕეᲕᲐᲜᲐ Ორ ᲑᲐᲜᲐკᲐთ გᲐიეᲗ და თᲕᲘთეეული ᲪᲓᲘᲓᲝᲑს ᲮᲐᲚᲮის უურᲐᲓᲦᲔᲑᲐ მიიქᲪიᲝს, დᲩᲐგრეული თᲐᲕს ᲐᲑრᲐᲓᲔᲑს და ᲡᲐმᲐრთᲓᲘᲐᲜᲝᲑის ᲑრᲘᲜᲪიᲔᲑს მᲐმᲐრთᲐᲕს, გᲐმᲐრჯᲕᲔᲑეეული მᲝᲑირᲓᲐᲑირᲔᲗᲐ მᲐᲕᲜᲔᲑᲓᲝᲑᲐს ᲐᲓᲜიშᲜᲐᲕს! ეს მᲐᲕᲜᲔ ᲔᲚᲔმᲔᲜᲢიᲐ ᲑᲔრᲔᲑი, რᲝᲛᲔᲚᲗᲐც თᲐᲕი მᲝეეურიᲐთ სᲮᲕᲐ და სᲮᲕᲐ კᲝᲜგრᲔგᲐᲪიᲔᲑᲨი და ᲩᲐეᲒᲓიᲐთ ᲮᲔᲚში თიᲗᲥᲛის მᲗᲔᲚი სᲐფრᲐᲜგეთის დᲐᲑᲐᲚი შეᲙᲝᲚᲔᲑის, სᲮᲚᲮᲚᲮᲚ ᲥᲔმᲝᲑის და ქᲕეᲚᲛᲝქმᲔᲓᲔᲑის საქმე. კᲝმᲑᲛᲐ ᲑრძᲐᲜᲔᲑᲐ გᲐმᲝᲡᲪᲐ ᲜᲔᲑᲐᲓეეურᲗᲕეᲚ კᲝᲜგრᲔგᲐᲪიᲔᲑის დᲐᲮეეურᲕის შეᲡᲐᲮᲔ. ᲑᲔრᲔᲑი მᲐეეᲜᲕᲔ დᲐᲗᲕᲐᲪეეურᲓᲔᲜ, მᲐთ მიეკᲔᲓᲓᲔᲜ რᲔᲥᲪიᲝᲜეერᲔᲑი და შეეუᲓᲔᲒᲔᲜ ᲡᲮᲐᲮᲚᲮᲚ მᲐᲜიᲗᲕᲔᲡᲢᲐᲪიᲔᲑის მᲐრთᲕᲐს. ᲐᲡეთი მᲐᲜიᲗᲕᲔᲡᲢᲐᲪიᲔᲑი ᲐრᲐ ერთ Ადგილს გᲐიმᲐრთᲐ. ᲑᲓᲝᲠᲗᲛᲔᲓᲨი ᲥᲕᲔᲡᲐᲡᲐმᲓე კᲐᲪი ᲩᲐიკᲔᲢᲐ კᲝᲜგრᲔგᲐᲪიის შეᲙᲝᲚᲨი და იქ დᲐᲕᲓეს სᲐᲓᲐმᲝᲡ ᲪᲮრᲐ ᲡᲐᲐთᲐმდᲔ. შუმᲓეგ მᲗᲔᲚმᲐ ერიᲚᲝᲑᲐმ გᲐᲡწᲘᲐ ᲡᲐᲑრეეეᲥᲢᲝᲡკᲔᲜ და იქ მᲝᲐᲮᲓᲘᲜ მᲗᲐᲕრᲝᲑის საწᲘᲜᲐᲐᲓმᲓეგᲝ მᲐᲜიᲗᲕᲔᲡᲢᲐᲪიᲐ.

რᲔᲜᲨი გᲐიმᲐრთᲐ ᲡᲐᲑრᲝᲢᲔᲡᲢᲝ მიტᲘᲜგი, რᲝᲛᲚის რეᲖᲝᲚიუᲪიᲐ გᲐᲓᲐეᲪᲐ ᲑრეეეᲥᲢᲔ, ᲡᲐᲓაც თᲮᲝᲕᲔᲜ მᲗᲐᲕრᲝᲑას „რᲔᲡᲞუᲑᲚიკᲐᲜური“ ᲑრᲘᲜᲪიᲞᲘᲡ ᲞᲐᲢიᲘᲡᲪᲔᲛᲓᲗᲐ გᲐᲣᲥᲛᲝს ის ზᲝმეᲑი, რᲝᲛᲚᲔᲑიᲪ მიᲓᲔᲑეეულიᲐ თᲐᲕისეეᲗᲕᲓ შეᲙᲝᲚᲔᲑის წᲘᲜᲐᲐᲓმᲓეგ! გᲐზეთᲔᲑმᲐ გᲐმᲝᲐქᲕეᲜᲔს ᲐრᲐ ერთი დიᲐ წᲔრიᲚი მᲗᲐᲕრᲝᲑის მიმᲐრთ. წᲔრიᲚის ᲐᲕტᲝრᲔᲑი მᲗᲐᲕ-

რობას აბრალებენ ძალმომრეობას, უსამართლობას და თავისუფლების ბრინციპის დარღვევას. მშვიდობიან წინააღმდეგობით არ ჯერდებიან სამინისტროს მტრები. უგელაზე უფრო აღელდა ბარიკი. აქ არა ერთხელ მოხთა კონგრეგაციების მომხრეთა და მოწინააღმდეგების შეტაკება. ერთი სიტყვით ბრძოლა გაცხარებულია, მარა რაც უნდა იყოს, გამარჯვება მაინც სამინისტროს დარჩება. ხოლო ეს გამარჯვება მაინც და მაინც დიდ მნიშვნელოვანი არ იქნება, რადგან მას მხოლოდ გარეგნული ხასიათი ექნება.

სანამ საფრანგეთში თვით სახელმწიფო არ იტვირთების უძღურთა და ავათმყოფთა უზრუნველყოფას, სანამ ადზრდას არ აღიარებს სამშობლოს მოვალეობათ და ეველასათვის მისაწვდენ და უფასოთ არ გახთის, მანამდის თუმც ოფიციალურათ დახურონ კონგრეგაციები, იეზუიტების გამოქნილი ბერები მაინც ეცდებიან შეეგუონ მათთვის უხერხულ პირობებს და წინანდებულათ გაგრძელებენ რესპუბლიკელთა და მოქალაქეობრივი საზოგადოების მომხრეთა წინააღმდეგ ბრძოლას.

გერმანია. როგორც მოგეხსენებათ, გერმანიაში რეიხსტაგის დეპუტატებს გასამრჯელო არ ეძლევათ სახელმწიფოსაგან. ბისმარკის აზრით თუ დეპუტატს ჯამაგირი არ ექნებოდა, ამით რეიხსტაგი დაცული იქნებოდა რადიკალურ ელემენტების შემოსევისაგან, რადგან რადიკალობა ყოველთვის სიდარიბისკენაა, ხოლო დარიბებს გაუჭირდებოდათ უჯამაგიროთ ქვეყნის სამსახური. მაგრამ მთავრობის განზრახვა ვერ გამართლდა, რადგან უკიდურესი ელემენტები ეცადენ კერძო პირების სიდარიბის გამო საერთო საქმე არ შეეფერხებიათ. რაკი მთავრობა არ აძლევს ჯამაგირს მათ დეპუტატებს, თვითონ პარტიამ დაუნიშნა მათ ეს ჯამაგირი. ასე იქცევიან სოციალ-დემოკრატები. ამნაირათვე სურთ მოიქცენ ეხლა ბოდონელები. რადგან ბევრი ადვოკატი, ექიმი და სხვები უარს ამბობენ დეპუტატობაზე იმის შიშით, რო შემოსავალი არ დაეკარგოთ, რეიხსტაგის ბოდონელთა ფრაქციამ გადასწყვიტა დაარსოს განსაკუთრებული კასა, საიდანაც მიეცემა ჯამაგირი რეიხსტაგის დარიბ დეპუტატებს. ახლა, რასაკვირველია, ბოდონელები უფრო რადიკალებს გაგზავნიან რეიხსტაგში და არა მსხვილ მიწათმფლობელებს, ბუნებრივ კონსერვატორებს, როგორც აქამდის იყო.

— ამ ბოლო დროს მეტათ გამწვავდა გერმანელთა და ბოდონელთა ურთიერთი დამოკიდებულება. ბრუსიის ბოლიტიკა სარგებლობს შემთხვევით და ხურავს ბოდონელთა ერიდობას მხოლოთ იმიტომ, რომ იქ ბოდონურათ ლაპარაკობენ. მარა გადადის იგივე, საქმე სასამართლოში, და აქ მსჯელი აცხადებს—ბრუსიის ბოლიტიკის მოქმედება უკანონო არისო. კონსტიტუციის თანახმათ გერმანულ ენას არავითარი უპირატესობა, ბრივილეგია არ ეკუთვნის და მასთან ერთი და იგივე უფლებით უნდა სარგებლობდენ სულ ეველა ენები, რომელებზედაც კი ლაპარაკობენ გერმანიის ქვეშევრდომნი.

მაგრამ ბოლიტიკა სრულიათ არ აქცევს ყურადღებას მსჯელების ასეთ გადწყვეტილებას, და მეორე დღესვე აღკრძალავს ამა თუ იმ კრებას. აშკარაა იმას განსაკუთრებული ბრძანება აქვს მიღებული და ვინიცობაა შეტეობილიც აქვს, რომ ბოდონური ენის შესახებ კანონიც შეიცვალოს ამ მოკლე დროში. ბოდონელები კი მაინც არც ერთს შემთხვევას არ ტოვებენ იქ ისე, რომ სასამართლოში არ გაატარონ და იქ მსჯელის პირით თავის თავის სასარგებლო განჩინება არ მოისმინონ.

ერთგული ბრძოლა ხსენებულ ქვეყანაში ეკონომიურ ნიადაგზედაც გადავიდა. სხვა და სხვა ზომებთა შორის მთავრობამ შეადგინა კომისია, რომლის საგანია ბოდონელ მამულების გერმანელ კოლონისტებით დასახლება. ამას წინეთ ამ კომისიის თავმჯდომარემ, ვიტენბერგმა, თავი დანება სამსახურს: ეს იმით აიხსნება, რომ მან სრულიათ ვერ მიაღწია საწადელს, ხოლო თუდი კი ბლომათ დახარჯა. მაგალითათ, გერმანელთა კომისიამ ერთი მამული იყიდა 1900 წელს 1,000,000 მარკათ, ხოლო შემდეგ იძულებული გახდა გადაეცა ბოდონელებისათვის იგივე მამული 250,000 მარკათ.

ისპანია. თუ საფრანგეთში კომბის სამინისტროს წარმოადგენ კლერიკალები კენესასა და ოხვრაში არიან, ისპანიაში პირიქით, რაც დრო მიდის, უფრო და უფრო თავს მაღლა წევენ [illegible] სანტიაგოში გაიხსნა კათოლიკეების კონგრესი [illegible] ნათლათ ატუვია მებრძოლი ხასიათი. სულ ეველა კათოლიკეთ მიიწვევენ საერთო ძალით საბრძოლველათ, რათა დაამყარონ ღვთაებრივი სამეფო და ადადგინონ პაპის მოქალაქეობრივი უფლება, ამას გარდა პროგრამა მოითხოვს, რომ ადრზდის საქმე საგანებით გადაეცეს ეკლესიას, რომ ცნობილ იქმნას ორდენების საჭიროება; ლიბერალთა სამინისტრო კი მეტათ სუსტობს, პირიქით კონსერვატორთა წინამძღოლმა სილველამ პირველმა მოაწერა ხელი კონგრესის წევრობაზე. ამ ნაირათ ჩვენ ვხედავთ, რომ ისპანიას კიდევ დიდ ხანს ღრღნის მისი დამქუცმაცებელი და გამცარცველი სასულიერო ორდენები.

სამხრეთ აფრიკა. ამ მოკლე ხანში კაპშტადიდან ინგლისიანებს უნდა გამგზავრებულიყო საექიმოთ ორანუეს რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი შტეინი. ხომალდზე ის ინახულეს ბეეერმა მეგობრებმა. შტეინი სულ დაავათმყოფებულია და საცოდავ მდგომარეობაშია. ხელები და ფეხები სანახევროთ გაკაკვებული აქვს, აგრეთვე თვალის ქუთუთოები, ასე რომ თვალის გადება არ შეუძლია. ძალიან ავათმყოფობა და კეთილშობილური სიმტკიცე, რომელიც მან გამოიჩინა ომიანობის დროს,—ის ერთათ ერთი წინამძღოლია ბურებთა შორის, რომელმაც სამშვიდობო ხელშეკრულობას ხელი არ მოაწერა, მიაბერობს მისკენ საერთო სიმხატიას მისი ბოლიტიკური მტრებისაც კი. კაპშტადის მანდილოსნებმა მიმართვეს ქ-ბატონ შტეინს ქისა, 1,000 სოფერენით.

ავსტრო-უნგრეთი. უნგრეთის ვაჭრობის მინისტრი ამ უამთ აგენს ბრეექტს იმის შესახებ, რომ საველდებულო იყოს დასახიჩრებულ მუშების დაზღვევა. ბრეექტს შემოგვამზე ბარამენტს წარუდგენს.

რუსეთის ცხოვრება.

ვილნის სამასწავლო ოლქის მზრუნველის ინიციატივით ვილნოში საშუალო სასწავლებლების მასწავლებლებმა გამართეს კურსები და ლექციები ლიტერატურიდან, ისტორიიდან, ბოლიტიკურ ეკონომიიდან, ფიზიკიდან და ფილოსოფიიდან. სახალხო განათლების სამინისტროს სამასწავლო კომიტეტმა განიხილა ანგარიში ამ კურსების შესახებ და ის აზრი გამოთქვა, რომ მეტათ სასიამოვნო და სასარგებლოა ასეთი კურსების მოწყობა, რადგანაც ეს ლექციები და კურსები თვით მასწავლებლებში გამოიწვევენ მეტ სურვილს მეცადინეობისა, გაამდიდრებენ მათ ცოდნას და ხელს შეუწყობენ ამ ცოდნის სისტემატიურათ დალაგებას, აგრეთვე ხელს შეუწყობენ მასწავლებელთა კორპორაციის დაახლოვებას იმ საზოგადოებასთან, რომლის შვილები იზრდებიან ამ მასწავლებლების ხელმძღვანელობით. ამ მოსაზრებათა მიხედვით კომიტეტმა მეტათ სასურველათ ცნო, რომ ასეთი კურსები და ლექციები მოიწყონ სხვა სამასწავლო ოლქებშიაც. სახალხო განათლების მინისტრი დეთანხმა ასეთ აზრს და შესაფერი განკარგულება მისწერა ოლქების მზრუნველებს.

— სენატამდი მიაღწია ერთმა კერძო საქმემ ისეთ პირის შესახებ, რომელსაც ბრალდებოდა ქალწულის შეცთენა საჯაროთ მიცემულ დაპირებით შეგირთავო და ეს დაპირება კი არ შასრულა; ამ საქმის შესახებ ხსენებულმა დაწესებულებამ განმარტა, რომ ასეთი საქციელის დანაშაულობათ ჩასათვლელათ საჭიროა, რომ დაპირება საჯაროთ მოხდეს, ე. ი. ის არა თუ ხუმბრობის ხასიათის არ უნდა იყოს, არამედ მოწყობილი უნდა იყვეს გარეგნულ წესებით, რომელებიც თითქო პირობის მიცემის დამამტკიცებელია, ასეთია, მაგ. დანიშვნა, დაპირების წარმოთქმა გარეშე პირების თანდასწრებით და სხ.

— წელს კიევის უნივერსიტეტში შესვლის მსურველთა რიც-

ხვი დიდი იქნება, რადგან მიდებას ითხოვენ არა მარტო ისინი, ვინც წელს დასრულებულ გიმნაზია, არამედ იმ პირველ კურსის სტუდენტების უმრავლესობა, რომელნიც შარშან დაითხოვეს. დათხოვნილთა რიცხვი 750-დეა, ჩვეულებრივთ კი კიევის უნივერსიტეტში წლიურათ იღებენ არა უმეტეს 600 კაცისა. რათა შეაძლებინონ დათხოვნილ სტუდენტების უმეტესობას სწავლის გაგრძნობა და ახალ შემსვლელნი არ შეაკავწროვონ, ამ მიზნით განზრახულია წელს საზოგადო ნორმას პირველ კურსებზე მისაღებს მიუმატონ 200 კაცი, გარდა ამისა მიიღონ მხოლოთ კიევის სამზრუნველო ოდქის გიმნაზიებში კურსის დასრულებულნი და უარი უთხრან კავკასიის ოდქის გიმნაზიებში კურს დასრულებულთ, თუმც, აქამდის ეს ოდქი მიწერილია კიევის უნივერსიტეტთან.

— კიევის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში შეუტანიათ 700 თხოვნა. ინსტიტუტის საბჭომ ითხოვა, რომ მიეცათ ნება პირველ კურსზე დაწესებულ ნორმის ზედმეტი მიეღოთ, მარა უარი მოუვიდა, ასე რომ მიიღებენ მხოლოთ 400 კაცს.

— ამას წინეთ პეტერბურგის სოდქო სასამართლოში ირჩევოდა საქმე „ნოვოე ვრემიას“ რედაკტორის და „კიევლიანინის“ სეკრეტარის, რომლთაც უჩიოდა კიევის სასამართლო პალატის ვექილის თანაშემწე ცეხოვსკი. ხსენებულ გაზეთების რედაკტორს და სეკრეტარს იცავდა ნაფიც ვექილის თანაშემწე ადვექსეევი, რომელმაც ერთ მოწმეთაგანს ასეთი სიტყვებით მიმართა: „იცით, თქვენ, მოწმეო, რომ ცეხოვსკი გამორიცხეს კიევის უნივერსიტეტიდან მთავრობის საწინააღმდეგო პოლონურ იდეების პროპაგანდის გამო“? ამ ინციდენტს მიაქცია ყურადღება პეტერბურგის სასამართლო პალატის ოდქის ვექილთა თანაშემწეების კომისიამ, გამოიძია საქმე და შემდეგ დაადგინა: „ბ. ადვექსეევმა განზრახ მიუთითა სასამართლოს ჩემი ამხანაგი ცეხოვსკი პოლიტიკურათ სანდო არ არისო, ამით იმას სურდა მთავრობის სასამართლოს წინაშე ცეხოვსკი გაებათილებია და ამ ნიერათ თავისი კლიენტები გაემართლებია. ადვექსეევმა მიმართა ისეთ ხერხს, რომელიც არ ეკადრება მისი ადგილის მქონე პირს და რომელიც სრულიათ არ შედის სასამართლოს მიზნებში, რადგან სასამართლოს მიზანია გარჩევა ამა თუ იმ დანაშაულისა და არაა შეიარაღებულია საქმის ჩხრეკა. ადვექსეევის მიერ ნახმარ ხერხს არ აქვს მაგალითი სასამართლოს და ადვოკატების ისტორიაში“, ამიტომ კომისიამ ხმის უმეტესობით დაადგინა: წინადადება მისცეს კომისიის საბჭოს, რათა ადვექსეევს ადეკრძალოს პრაქტიკის უფლება სამი თვით.

— სახალხო განათლების სამინისტრომ შესაძლოთ დაინახა ახლავე დაარსოს ტობოლის გუბერნიაში ამ გუბერნიის სახალხო შკოლების მასწავლებელთა უკეთესათ მოსამზადებლათ მუდმივი პედაგოგიური კურსები, რისთვისაც ეოველ წლივ სამინისტრო გადადებს 2000 მ.

— ტურინსკში ამას წინეთ დასაფლავეს სოფელ უსენიკოვის მასწავლებელი ქალი კუზნეცოვისა, 24 წლის. ახალგაზდა მუშაკმა სამ წელს იმუშავა საპედაგოგიო ასპარეზზე, ამ დროს განმავლობაში აუტანელი შრომის გამო იავადმყოფოვის მაზრის მოძრავ შკოლაში, სადაც 80—90 შეგირდი იყო და სადაც ის წინეთ მსახურობდა, ჭლექით ავათ გახდა. ავათმყოფმა მიმართა ექიმობაში დასახმარებლათ ტობოლის გუბერნიის მასწავლებელთ დამხმარებელ საზოგადოებას. სიკვდილის დღეს საზოგადოებამ შეატყობინა უკვე გარდაცვლილ კუზნეცოვისას, რომ საექიმოთ საჭირო დახმარებას არ აღმოგიჩენთ. თავისი უარი საზოგადოებამ იმით დასაბუთა, რომ კუზნეცოვის ქალს არ შექონდა ეოველ წლივ ხვედრი საწევრო ფული.

ᲐᲚᲘᲐᲫᲝᲗᲘ.

(ა. ჩეხოვისა).

მაშო პაკლეცკისა, ინსტიტუტში ახლათ კურს დამთავრებული ყმაწვილი ქალი, როდესაც სეირნობის შემდეგ დაბრუნდა კუშკინის სახლში, სადაც გუვერნატკათ იყო, საშინელი ალიაქოთი შენიშნა. მეკარე მიხაილოც აღელვებული და ყაყანჩოსავით გაწითლებული იყო.

ზემოდან ხმაურობა მოისმოდა.

„უეჭველია, დიასახლისს მოუარა... გაიფიქრა მაშომ, — ან და ქმარს წაეჩხუბა“...

წინა ოთახში შეხვდა მოახლეებს. ერთი მათგანი ტიროდა. შემდეგ მალომ დაინახა, რო იმის ოთახიდან გამოვარდა თვით მსპინძელი ნიკოლოზ სერგის-ძე, პატარა ტანის, ჯერ ახალგაზდა აბურძგნული სახით, ზორბათ მოტვლეპილი თავით, გაწითლებულიყო, ათახთახებდა. ისე გაუარა გუვერნანტკას, რომ ვერ შენიშნა, აწია ხელები მაღლა და შეყვირა:

— ოჰ! რა საშინელებაა! რა უტაკტობა. რა ველურობა, სულელობა!. საზიზღრობაა!

მაშო შევიდა თავის ოთახში და აქ თავის სიცოცხლეში პირველათ გამოცადა სრულის სიმკაცრით ის გრძნობა, რომელიც კარგათ ესმით დამოკიდებულ მუშაკთ, რომელნიც ლუკმა პურისათვის ცხოვრობენ დიდებულ და მდიდარ ადამიანებთან. იმისი ოთახი გაეჩხრიკათ. დიასახლისი ფედოსია ვასილის ასული, მსუქანი, მხარ-ბეჭიანი ქალი, ხშირ წამწამებიანი და მოუხეშავი, თვალთ დაუნახავი ულვაშებით და წითელი ხელებით, რომელიც სახითა და ქცევით უბრალო მზარეულ დედაკაცს უფრო გავდა, იდგა იმის სტოლთან და სამუშაო ტოპრაკაში უკანვე ალაგებდა მატყლის ფაროებს, ნაკუწებს, ქაღალდის ნაგლეჯებს... უეჭველია გუვერნანტკის მოსვლა იმისთვის სრულიათ მოულოდნელი იყო, რადგანაც, როდესაც მობრუნდა და ახალგაზდა ქალის ფერ წასული სახე დაინახა, ცოტა შერცხვა და წაიბუტბუტა:

— Pardon, მე... უცაბედათ დავფანტე... სახელო მომედვა...

კიდევ რაღაცა თქვა და მერე კუშკინისა შლეიფის შრიალით გამოვიდა! გაკვირვებულმა მაშომ მოავლო თვალი ოთახს და განცვიფრებულმა, რადგანაც არ იცოდა რა უნდა ეფიქრა, მხრები აიჩეჩა და სიცივემ აიტანა... იმის ჩანთაში ფედოსია რას ეძებდა? თუ მართალია, რასაც ის ამბობს, ვითომ უცაბედათ სახელო მოხდვა და დაფანტა, მაშ აგეთი გაწითლებული და აღელვებული რათ გახტა ოთახიდან? ნიკოლოზ სერგის-ძე? სტოლის უჯრა ოდნავ გამოწეული რათ არი?. ყულაბი, რომელშიაც გუვერნანტკა უზალთუნებს და ძველ მარკებს ინახავდა, გაღებული იყო. გაეღოთ, მაგრამ ვეღარ დაეკეტათ, თუმცა საკლიტე სულ ერთიანათ დაეფხაჭნათ, წიგნების ეტაჟერკას, სტოლს, ქვეშაგებს—ყველაფერს ეტყობოდა, რომ აქაურობა გაეჩხრიკათ, საცვლების კალათაც კი, თუმცა საცვლები ისევ რიგზე იყო ჩალაგებული, მაგრამ იმ რიგზე კი არა, როგორც მაშოს ქონდა ჩაწყობილი. მაშასადამე გაჩხრეკა ყოფილა და საფუძვლიანიც, მაგრამ რისთვის, რა ამბავია? რა მოხდა? მაშოს მოაგონდა აღშფოთებული მეკარე, ალიაქოთი, რომელიც ჯერაც არ შეწყვეტილიყო, ნამტირალევი მოსამსახურე; ყველა ამას დამოკიდებულება ხომ არა აქვს ამ ოთახის გაჩხრეკასთან? რამე საშინელ საქმეში ხომ არ არის გარეული? მაშო გაფითრდა, და მთლათ აკანკალებული საცვლების კალათაზე დაეშვა. ოთახში მოახლე შემოვიდა.

— ლიზა, არ იცით რისათვის.., გამჩხრიკეს?—კითხა გუვერნანტკამ.

— ქალბატონს ორას თუმნიანი ბროშკა დაეკარგა... თქვა ლიზამ.

— მე რიღასთვის გამჩხრიკეს.

— ქალო, ყველანი დაგვჩხრიკეს. მე ხომ აღარაფერი დამიტოვეს... სულ დედის შობილები გაგვხადეს და ისე დაგვჩხრიკეს... მე კი, ქალო, ღმერთს გეფიცები... მაგათი ბროშკა

კი არა, ტუალეტთან ახლოც კი არ მივსულვარ. პოლიციაშიაც ამას ვიტყვი.

— მაგრამ... მე რიღასთვის გამჩხრიკეს? გაკვირვებული კითხულობდა გუვერნანტკა.

— მოგახსენებთ, ბროშკა მომპარეს მეთქი... ქალბატონმა ყველაფერი თავის ხელით გადააქოთა. მეკარე მიხაილოც კი თავის ხელით გაჩხრიკა. თავზე ლაფის დასხმაა! ნიკოლოზ სერგის-ძე კი უყურებს და ქათამივით კაკანებს. ქალო, თქვენ კი ტყუილათ კანკალებთ. აქ ვერაფერიც ვერ იპოვნეს! თუ თქვენ არ აგიღიათ ბროშკა, რა გაქვთ საშიში.

— მაგრამ, ლიზა, ეს ხომ სიმდაბლეა... შეურაცხყოფა, თქვა მაშომ და ბრაზისაგან სულმა წუხილი დაუწყო. ეს ხომ საზიზღარი სულ მდაბლობაა! რა უფლებით ქონდა ჩემზე მოეტანა ეჭვი და ჩემი ბარგი აექოთებინა.

— სხვისა სახლში ცხოვრობ, ქალო.—ამოიოხრა ლიზამ.

— თუმცა გასათხოვარი ქალი ხარ... მაგრამ მაინც, როგორც მოსამსახურე... ეს დედ-მამასთან ცხოვრება ხომ არ არის...

მაშო დაემხო ლოგინზე და ქვითინი დაიწყო. მისთვის ჯერ ასეთი დიდი შეურაცხყოფა არავის მიუყენებია, როგორც ეხლა... ამ საუცხოოთ აღზრდილ, მგრძნობიარე მასწავლებელ ქალს ქურდობა შესწამეს, ეჭვი შეიტანეს, გაჩხრიკეს, როგორც ქუჩის დედაკაცი! ამაზე მეტ შეურაცყოფას კაცი ვეღარ გამოიგონებს. ამ შეურაცყოფის გრძნობას დაერთო საშინელი შიში: ახლა რაღა იქნება!? თავში ათასი ახირებული ფიქრი უტრიალებდა. თუ კი ქურდობაზე ეჭვი შეიტანეს, მაშ ეხლა შეუძლიათ კიდეც დაიჭირონ, გააშიშვლონ და გაჩხრიკონ, შემდეგ ყარაულებით ქუჩაში გაატარონ, ჩააგდონ ბნელსა და ნესტიან ოთახში, სადაც ბლოქათ თაგვები, ჭიები იქნება, სწორეთ ისეთი, როგორშიაც კნიაჟნა ტარაკანოვისა იჯდა. ვინ დაეჭიმაგება. მშობლები შორს პროვინციაში ცხოვრობენ, და თუნდაც მოინდომონ, წამოსასვლელი ფული არა ექნებათ. სატახტო ქალაქში მარტოთ-მარტომ, როგორც უდაბურ მინდორში, უმშობლებოთ. და უნაცნობოთ შეუძლიათ, რაც უნდათ, ის უყონ.

გავიქცევი ყველა მოსამართლე და ადვოკატებთან.-.

— ფიქრობდა მაშო და თან კანკალებდა.— მე აუხსნი, შევფიცავ... ისინი დაიჯერებენ, რომ მე ქურდობის ჩადენა არ შემიძლია!".

მაშოს მოაგონდა, რო ზეწრებ ქვეშ კალათში მას ულაგია ტკბილეულობანი, რომელსაც ინსტიტუტში შეძენილ ჩვეულებისამებრ, სადილობის დროს ინახავდა ჯიბეში და შემდეგ თავის ოთახში მიქონდა. ამ ფიქრმა, რომ ის მცირე მისი საიდუმლოება მასპინძლებმა კიდევაც იციან, ალმური აადინა, შერცხვა — და შიშისაგან, სირცხვილისაგან შეურაცხყოფისაგან მოუვიდა გულის ძგერა, მისგამო სისხლი ჩაქუჩივით უკაკუნებდა საფეთქლებში, ხელებში და მუცელში.

— მობრძანდით, სადილი მიირთვით!—დაუძახეს მაშოს. „წავიდე თუ არა?"

მაშომ თმა გაისწორა, სველი პირსახოცი მოისვა პირისახეზე და წავიდა სასადილო ოთახისკენ. სადილობა კიდეც დაეწყოთ... სტოლის თავში იჯდა ფედოსია ვასილის ასული, გაბრუებული, დარბაისლური სახით; ბოლოში—ნიკოლოზ სერგის ძე. აქეთ იქით ისხდნენ სტუმრები და ყმაწვილები. სადილი ორ ფრაკში გამოწყობილ და ფერჩატკებიან ლაქიებს შემოქონდათ. ყველამ იცოდა, რომ სახლში ალიაქოთია, რომ დიასახლისი დარდშია და ამის გამო ჩუმათ იყვნენ. საჭმელის ღეჭვისა და კოვზების ჩხარა-ჩხურის მეტი არ ისმოდა რა.

ლაპარაკი თვით დიასახლისმა დაიწყო.

— მესამე რა არის?—კითხა ლაქიას მოწყენილი ტ[illegible] გვემულის ხმით.

— ესტურჟონ ალა რიუს! უპასუხა ლაქიამ.

— ფენია, ეს მე შევუკვეთე... აჩქარებთ. [illegible] ლოზ სერგის ძემ. თევზი მომინდა. თუ არ მოგწონს, n[illegible] chere, ნუ შემოიტანენ. მე ისე... სხვათა შორის...

ფედოსია ვასილის ასულს არ უყვარდა ის საჭმელი, რო[illegible] მელსაც თვითონ არ შეუკვეთავდა, და ეხლაც თვალები ცრ[illegible] მლებით აევსო.

— ნუდა ვდელდებით—სთქვა ტკბილათ სახლის ექიმ[illegible] მამიკოვმა, ოდნავ შეახო ხელი დიასახლისის ხელს და აგრე[illegible] ვე ტკბილათ გაიღიმა.—ჩვენ უამისოდაც საკმაოთ ნერვებ[illegible] ლილი ვართ. ბროშკა დავივიწყოთ! კარგათ ყოფნა ორ[illegible] ათას მანეთზე ძვირათ ღირს.

— მე ორი ათასი არ მენანება!—უპასუხა დიასახლისმ[illegible] და მოზრდილი ცრემლი ჩამოუგორდა ლოყაზე.—მე მაძრწ[illegible] ნებს თვით ფაქტი! არ შემიძლიან სახლში ქურდების შენახვ[illegible] მე არ მენანება, არაფერი არ მენანება. მაგრამ ჩემი გაქურ[illegible] ვა ეს ისეთი უმადურობაა! ასე მიხდიან ჩემი გულკეთილობ[illegible] სამაგიეროს...

ყველა თავის საინში ჩაიყურებოდა, მაგრამ მაშოს მო[illegible] ეჩვენა, რო დიასახლისის სიტყვების შემდეგ ყველამ იმას შ[illegible] ხედა. ყელში რაღაცა მოაწვა, დაიწყო ტირილი და პირის[illegible] ხეზე ცხვირსახოცი მოიფარა.

— Pardon,—წაიდუდუნა მაშომ,—არ შემიძლიან. თა[illegible] მტკივა. წავალ.

წამოდგა სტოლიდან სკამების რახუნით, რამაც უფრ[illegible] შეარცხვინა, და საჩქაროთ გამოვიდა.

— რა არის, ღმერთმანი!—ჩაილაპარაკა, ნიკოლოზ სერ[illegible] გის ძემ. და შუბლი შეჭმუხნა.—რა საჭირო იყო მაგისი გ[illegible] ხრეკა! მართლა რო ძალიან უხერხულათ გამოვიდა.

— მე არ ვამბობ, რო ბროშკა მაგან აიღო მეთქი,— თქვა ფეოდოსია ვასილის ასულმა,—მაგრამ შენ განა შეგი[illegible] ლიან, თავდებათ დაუდგე? მე, სწორე გითხრა, მაგ ღატ[illegible] მასწავლებლებისა არაფერი მჯერა.

— არა, სწორეთ რომ უადგილო იყო... უკაცრავათ, [illegible] ფენია, მაგრამ კანონით შენ არავითარი უფლება არა გაქ[illegible] ეგ გაჩხრიკო.

— მე თქვენი კანონები არ ვიცი. მე მხოლოთ ის ვიც[illegible] რომ ბროშკა დამეკარგა მეტი არაფერი. უეჭველათ ვიპოვნ[illegible] თქვა დიასახლისმა, თანაც ჩანგალი დაურახუნა თეფშ[illegible] მეტის ბრაზისაგან.—თქვენ ჭამეთ და ჩემ საქმეში ნუ ერევი[illegible]

ნიკოლოზ სერგის ძემ წყნარათ დასხა თვალები და ამ[illegible] ოხრა. მაშო, შევიდა თუ არა თავის ოთახში, დაეცა ლ[illegible] გინზე. იმას ეხლა აღარც რცხვენოდა, აღარც ეშინოდა. მხ[illegible] ლოთ ერთი სურვილი ტანჯავდა: მაშოს უნდოდა სილ[illegible] ეწნა ამ გულ ცივ, გაბღენძილ უჭკუო, ბედნიერი დედაკაც[illegible] სთვის.

მაშოს თავ-პირი ჩაეყო ბალიშში და ოცნებობდა, თუ [illegible] კარგი იქნებოდა, რო ეხლავე წასულიყო, ეყიდნა ძვირფა[illegible] ბროში, ეკრა ცხვირ-პირში ამ თავქეიფასთვის. ღმერთმა რ[illegible] ბრძანოს და ფედოსია ვასილის ასული გაღარიბდეს ისე, რ[illegible] კარ-დაკარ მოუხთეს წანწალი, აი მაშინ გაიგებს მათხოვ[illegible] ბის საშინელებას და სხვისა კარზე ყოფნას, ოხ, ნეტავ დიდი სამკ[illegible] დრო რამ მივიღო, ვიყიდო ეტლი და მაგის ფანჯრებთან [illegible] ვაჯირითო, რომ სიშურით თვალები დაეთხაროს!.. მაგრამ [illegible] ოცნება იყო, სინამდვილე კი მხოლოთ ერთი—ჩქარა წას[illegible] ლიყო, ერთი საათი აღარ დარჩენილიყო! მართალია ძ[illegible] ლია ადგილის დაკარგვა. ისევ დაბრუნება მშობლებთ[illegible] რცმელთაც საჭმელი ლუკმაც არა აქვთ, მაგრამ მეტი [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზაა? მაშოს აღარ შეეძლო თვალით დაენახა არც დიასახლისი, არც თავისი პატარა ოთახი, აქ მას სული ეხუთებოდა, სევდა ერეოდა. ფედოსია ვასილის ასული, რომელიც გადარეული იყო თავის ავათმყოფობისგან და ცრუ არისტოკრატიზმისგან, იმდენათ შესძაგდა, რომ, ვგონებ, ქვეყანაზე აღარ ეხალისებოდა რა, ყველა ეხამუშებოდა იმის გამ.ი, რო ეს დედაკაციც ცხოვრობს. მაშო ჩამოხტა კრაოტიდან და დაიწყო ბარგის ჩალაგება.

— შეიძლება შემოვიდე?— შეეკითხა მეორე ოთახიდან ნიკოლოზ სერგის ძე; კარებთან ჩუმათ ფეხ აკრეფით, მივიდა და ტკბილი, დაბალი ხმით ეუბნებოდა.— შეიძლება?

— შემოდით.

ნიკოლოზ სერგის ძეც შევიდა და კარებთან გაჩერდა; თვალები მიბნედოდა და წითელი ცხვირი ულაპლაპებდა. სადილ შემდეგ ლუდი დაელია, რაც ტარებაზე, ქანც გამოლეულ, დასუსტებულ ხელებზე ეტყობოდა.

— ეს რა ამბავია?—კითხა ნიკოლოზმა და კალათზე ხელი მიუშვირა.

— ბარგს ვალაგებ. უკაცრავათ, ნიკოლოზ სერგის ძევ, მაგრამ თქვენ სახლში მეტი დარჩენა არ შემიძლია. ამ გაჩხრეკით საშინელი შეურაცყოფა მომაყენეს!

— მესმის... მაგრამ ტყუილათ კი... რათა? გაგჩხრიკეს, თქვენ კიდევ... რა ქვიან... თქვენ რა დაგაკლდათ...

მაშომ ჩუმათ განაგრძო ბარგის ჩალაგება. ნიკოლოზმა ულვაშების წიწკნა დაიწყო,. ასე გონია კიდევ სათქმელს რასმეს იგონებსო, და მოლაქუცების კილოთი განაგრძო.

— მე, რასაკვირველია, მესმის, მაგრამ ადამიანი დამთმენი უნდა იყოს. ხომ იცით, რომ ჩემი ცოლი ნერვებ აშლილი, დამთხვეული ქალია, სასტიკათ არ უნდა მოეკიდოთ...

მაშო ისევ ჩუმათ იყო.

— თუ მართლა ასე შეურაცხყოფილნი ხართ,—განაგრძო ნიკოლოზმა,—მაშ გვაპატიეთ, მე მხათ ვარ თქვენ წინაშე ბოდიში მოვიხადო. გვაპატიეთ!

მაშომ არაფერი არ უპასუხა და უფრო მეტათ დაიხარა ჩემოდანზე. ამ ლოთობისაგან გამოთაყვანებულ, გაუბედავ კაცს სახლში არავითარი მნიშვნელობა არ ქონდა. მოსამსახურეებსაც კი სასაცილოთ ყავდათ აგდებული: ყველამ იცოდა, რომ ის მეტი ადამიანი იყო და სამადლო ლუკმასა ჭამდა; ამიტომ იმის ბოდიშსაც არავითარი მნიშვნელობა არა ქონდა.

— ჰოო!.. ხმას არ იღებთ? არ კმაროობთ ამას? მაშ ცოლის მაგივრათაც ვიხდი ბოდიშს. ცოლის სახელით... უტაკტოთ მოიქცა, მე მჯერა, როგორც აზნაურს...

ნიკოლოზ სერგის ძემ გაიარ გამოიარა, ამოიქაქანა და განაგძო

— მაშ თქვენ გინდათ, რომ მე მღრღნიდესაი აქ, გულთან... თქვენ გინდათ, რომ სინდისი მტანჯავდეს...

— მე ვიცი, ნიკოლოზ სერგის ძევ, რომ თქვენი არაფერი ბრალია,—სთქვა მაშომ და თავისი მსხვილი ნამტირალევი თვალები პირდაპირ შეანათა,—თქვენ რათ უნდა იტანჯებოდეთ?

— რასაკვირველია... მაგრამ თქვენ მაინც.., ნუ წახვალთ... გთხოვ.

მაშომ უარის ნიშნათ თავი გააქნია. ნიკოლოზ ვასალის ძე მიდგა ფანჯარასთან და მინაზე მედოლესავით თითები ააყოლა.

— ჩემთვის ასეთი უკაბედი შემთხვევა—ტანჯვაა, წაილუღლუღა მან.—გინდათ მუხლ მოდრეკით გთხოვო თუ რა ღრის? თქვენ სიამაყეს შეეხენ და ტირილი დაიწყეთ, წასვლას აპირებთ, მაგრამ მეც რო მაქვს სიამაყე, და თქვენ არ ინდობთ, ან იქნება გინდათ ვთქვა ის, რასაც აღსარების დროსაც არ ვიტყვი? გინდათ? გამიგონეთ, თქვენ გინდათ გამოგიტყდეთ იმაში, რაშიაც სიკვდილის წინეთ აღსარებაზე არ გამოვტყდები?

მაშო ჩუმათ იყო.

— ცოლს ბროშკა მე ავაცალე!—საჩქაროთ ჩაილაპარაკა ნიკოლოზ სერგის ძემ. დაკმაყოფილდით? დიახ, მე... ავიღე... მხოლოთ, რასაკვირველია, იმედი მაქვს თქვენი პატიოსნების... ღვთის გულისათვის არავისთან ხმა, კრინტი.. არ დასძრათ... შეშინებულმა და გაკვირვებულმა მაშომ განაგრძო ბარგის ჩალაგება, ჭმუჭნიდა და უწეს-რიგოთ ყრიდა ზოგს ჩემოდანში და ზოგს კალათაში. ეხლა, როდესაც ნიკოლოზ სერგის ძემ თვითონ თავის პირით აღიარა, ხომ უფრო არ შეეძლო ერთი წუთი დარჩენა და, მხოლოთ ეხლა არ ესმოდა, როგორ შესძლო წინათ ამ სახლში ყოფნა,—საკვირველი არ არის რა... განაგრძო ნიკოლოზ სერგის ძემ; მცირე ხანს სიჩუმის შემდეგ.— ჩვეულებრივი ამბავია! მე ფული მჭირია, და ეგ... არ მაძლევს. ეს სახლიცა და დანარჩენი ყველაფერიც ხომ მამი ჩემის შენაძენია, ყველაფერი ჩემია, და თვით ის ბროშკაც დედი ჩემის ნაქონია და... ყველაფერი ჩემია! ეხლა კი ყველაფერს ეგ დაეპატრონა... ხო ვერ უჩივლებ. რა ვქნა... გთხოვ გულით გვაპატიოთ და დარჩეთ. დარჩებით?

— არა! უპასუხა მაშომ გადაჭრით, და კანკალი აუვარდა,—გემუდარებით; თავი დამანებეთ.

— თქვენ იცით,—ამოიოხრა ნიკოლოზ სერგის ძემ და ჩემოდანის მახლობლათ სკამზე ჩამოჯდა. — მე, სწორე გითხრათ, მიყვარს ისეთი ადამიანი, ვინც შეურაცყოფას ვერ იტანს, მძაგს ულირსი და სხვანი. თუნდა მთელი საუკუნე ვუყურო თქვენ განრისხებულ სახეს,—არ მომწყინდება... მაშ ასე; არა რჩებით? მესმის... სხვა ნაირათ არც შეიძლებოდა... დიახ, რასაკვირველია... თქვენთვის კარგია, მე კი.— ტპუუ!... ამ სარდაფიდან ერთ ნაბიჯსაც აღარ გადავდგამ. შეიძლებოდა აქეთ-იქით მამულებში წავსულიყავ, მაგრამ იქ ყველგანა სხვედან ჩემი ცოლის მსახურნი... მოურავები, აგრონომები, ეშმაკმა იცის იმათი თავი. აგირავებენ, გადააგირავებენ... თევზს ნუ იჭერო, ბალახს ნუ თელავო, ხეებს ნუ ამტვრევთო.

— ნიკოლოზ სერგის ძევ! მოისმა ზალიდან ფედოსია ანდრიას ასულის ხმა. აგნია, ბატონს დაუძახე!

— მაშ არ რჩებით?—კითხა ნიკოლოზ სერგის ძემ, საჩქაროთ წამოდგა და გასწია კარებისაკენ.—დარჩებოდით, ღმერთმანი... საღამ საღამოობით შემოვივლიდი თქვენთან... ვიტყოდით რასმე. ჰა? დარჩებით! თქვენც წახვალთ და ერთი ადამიანი აღარ დარჩება. ეს ხომ აუტანელია!

ფერ მკრთალი, ნასვამი ნიკოლოზ სერგის ძე ემუდარებოდა მაშოს, მაგრამ მაშომ უარის ნიშნათ გაიქნია თავი, ჩააქნია ხელი და გავიდა.

ნახევარი საათის შემდეგ გზაში იყო კიდეც.

ი. გ.

წერილი საფრანგეთიდან.

ახლა, როცა ახალი პარლამენტი დაიშალა დასასვენებლათ, როცა ის უკვე მოქმედებდა რამდენიმე ხანს და კანონმდებლობდა, ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ როგორც პარლამენტის ახალ შედგენილებაზე, მის ხასიათსა და მიმართულებაზე, აგრეთვე კომბის ახალ სამინისტროზე, მის საერთო ელფერზე და პროგრამაზე.

ჩვენმა მკითხველებმა იციან, თუ რა პირობებში მოხდა უკანასკნელი არჩევნები. ებრძოდა ერთმანეთს ორი ბურჟუაზიული პარტია; ამათში ერთია ნაციონალისტების პარტია რომელმაც თავი მოუყარა ყველა იმას, რაც კია საფრანგეთში რეაქციონური, რესპუბლიკელ-ანტისემიტებიდან დაწყებუ-

ლი როიალისტ-კატოლიკებით დასრულებული, მეორე პარტია fine fleur საფრანგეთის რესპუბლიკანიზმისა, რადიკალების და თავისუფალ მოაზრეთა პარტია, დამცველი დიდი რევოლიუციის ნაანდერძევისა, რეფორმატორების პარტია, რომელიც დიდი ხანია მზათაა გაბედნიეროს საფრანგეთი ყოველ სიკეთით, რომ ნაციონალისტები არ ეღობებოდენ მას გზაზე. ისიც იციან ჩვენმა მკითხველებმა, რომ ბრძოლა გათავდა მეორე პარტიის გამარჯვებით, რომ ნაციონალისტები დამარცხდენ, რომ სახელგანთქმული ლიგა „საფრანგეთის სამშობლოსა“ დარღვევის გზას დაადგა, მას შემდეგ რაც მისმა თავმჯდომარემ ფრანსუა კოპემ თავი დაანება თავის თანამდებობას, რომ ახალი სამინისტრო პალატის რესპუბლიკანელთა უმეტესობას ემორჩილება. ამნაირათ ზღუდე დაირღვა, გზა გაკაფულია და რეფორმატორებს მხოლოთ ის დარჩენიათ, რომ განახორციელონ რადიკალური პროგრამის შემოქმედებითი ნაწილი. წარმოიდგინეთ, თურმე დრო კიდევ ამისათვის არ დამდგარა; მტერი დამარცხებულა, მარა ის კიდევ სუნთქავს; და მხოლოთ მისი სუნთქვა ახდენს თავისუფალ საფრანგეთის ჰაერს, ხელს უშლის გაიფურჩქნოს მასში ის მშვენიერ სამოთხის კ. კრები, რომელთაც კაი ხანია მოეილს ქვეყანა „დემოკრატებისგან“ მათი დაპირების თანახმათ. უკვე თვით სამინისტროს შედგენილობამ დაგვანახვა, რომ საფრანგეთის მართველ კლასს განზრახვაა წინანდებურათ დაიცვას peste milieu. თუ დემოკრატიის უკიდურესი ელემენტი გამარჯვებას დღესასწაულობს რადიკალ-სოციალისტის კამილ პელტანის სამინისტროში შესვლის გამო, ცენტრი—ოპორტუნისტები (მელინის პარტია) არა ნაკლებ სიხარულშია სამინიტროში კონსერვატორის, გაიძვერა რუვიეს შესვლის გამო.

რუვე. როგოც ოდესღაც გალიფეს უნდა დეცვა ჯარი, რომელსაც კიცხავდენ მილიერანის მეგობრები, ისე დღეს რუვიემ უნდა „გაასწოროს“ ფინანსები, რომლისაკენ ხელს წვდის პელტანის პარტია. აქედან უსიცოცხლობა და უფერულობა სამინისტროს დემოკრატიისა. რადიკალ-სოციალისტების პროგრამის ქვაკუთხედს შეადგენდა სამი პუნქტი. ეკლესიის სახელმწიფოსაგან განშორება, კონსტიტუციის გადასინჯვა და პროგრესიული, შემოსავლის კვალობაზე დაწესებული გადასახადი. სამინისტროს დეკლარაციაში პირველ ორ პუნქტის შესახებ ერთი სიტყვაც არაა დაძრული, მესამე პუნქტი კი ისეთი ზოგადი, ბუნდოვანი სახითაა წამოყენებული, რომ ის რომ წამოეყენებია სხვა ბანაკის სამინისტროს, იმ შემთხვევაში რადიკალები მორთავდენ ღრიალს, დაგვცინიანო. ერთათ ერთი დადებითი ნაწილი პროგრამისა, რომლის სასარგებლოთ ერთ ხმივ სულ ყველა პარტიები უნდა მოქმედობდენ, რომელიც უნდა განეხორციელებია ყოველ სამინისტროს—ეს არის სამხედრო სამსახურის დროს განსაზღვრა ორი წლით, სამაგიეროთ არა დადებითი ნაწილი მთავრობის დეკლარაცისა, ნაწილი, რომელიც უცხადებს ომს კლერიკალიზმს, არის მეტათ იშვიათი აგრესიული ხასიათის.

რასაკვირველია, საფრანგეთის ნამდვილ დემოკრატებს კარგათ ესმით, თუ რა ხიფათი მოელის სამშობლოს წინსვლას და კულტურას კლერიკალიზმის ქონებრივი და ზნეობრივი გამაგრების გამო, კათოლიკეთა ეკლესია თავისი გაელენით ქალებზე, თავისი შკოლებით და საამღზრდელო სახლებით ზრდის თელ თაობათ უკიდურეს რეაქციონულ მიმართულებაში, თავისი მონასტრებით, ოინებით, და სიმდიდრით არსებით ქონებრივ დახმარებას უწევს სულ ყველა სიბნელის და რეგრესის მომხრე პარტიებს. ეს ბოროტება კარგათ ესმით დემოკრატებს, მაგრამ ამავე დროს ისინი მწუხარებით ეკითხებიან თავის თავს: კლერიკალიზმი დამოუკიდებელი ავათყოფობაა, ბოროტებაა, რომლის რადიკალურათ აღმოფხვრა შესაძლოა, თუ ეს მხოლოთ სიმპტომია, სიმპტომი, რომელიც მხოლოთ დროებით მას მოგვაშორებს, მაგრამ არ შეეძლოს ხელახლა იჩინოს თავი ამა თუ იმ სახით, რა კი ბოროტების [illegible] დაცული იქნება? ეს ბრძოლა კლერიკალიზმთან [illegible] ზნით არაა გაზიადებული, რომ უფრო და უფრო შორს წასწიონ იმ რეფორმების განხორციელება, რომელნიც ისე საჭიროა ქვეყნისათვის? ბოლოს ხომ არ ცდებიან ის მოქალაქენი—ანტიკლერიკალები, რომელნიც ნებას აძლევენ მთავრობას ნაციონალისტებთან ბრძოლაში ისეთი ხერხით ისარგებლონ, რომელნც შემდეგში შეიძლება მთავრობამ მათ წინააღმდეგვე გამოიყენოს, ასეთი ხერხია კანონების დარღვევა, დეკრეტების და ცირკულიარების სისტემა და სხვა. რომ ფრანგებს აქვთ საბუთი ასეთი კითხვა მისცენ თავის თავს, ამას გვიჩვენებს უკანასკნელ დღეების ფაქტები, რომელზედაც ჩვენ მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას.

დეპუტატთა პალატაში შეეხენ პროგრესიულ შემოსავლის კვალობაზე გაწერილ გადასახადს. ნაციონალისტები ცდილობენ პარლამენტის უმეტესობის დამარცხებას, ითხოვენ სამინისტროსაგან, რომ მან სავსებით გამოარკვიოს პროექტის ხასიათი და მისი განხორციელების ვადა. როგორც ზევით მოვიხსენიე, სამინისტრო სრულიათ არაა მოწადინებული, რომ პროგრესიული შემოსავლის შესაფერი გადასახადი შემოიღოს, როგორც ამას მოითხოვენ ბევრი მისი მომხრეები. რუვიეს განზრახული აქვს პირდაპირ პროგრესიულ გადასახადის მაგიერ შემოიღოს მეორე ნაირი, საერთო გადასახადი, რომელიც შეაძლებინებს მას მოსპოს კარებზე, ფანჯრებზე, მოძრავ საკუთრებაზე და მიწებზე დადებული გადასახადი. ამიტომ ნაციონალისტების კითხვამ დიდ განსაცდელში ჩააგდო მთავრობა. იმას არ შეუძლია აშკარათ აღიაროს თავისი წადილი, რადგან ეშინია ამით თავისი უმრავლესობის დაშლისა, არც შეუძლია პროგრესიულ, შემოსავლის კვალობაზე განწესებულ გადასახადის მომხრეთ გამოაცხადოს თავისი თავი. სამინისტროს ასეთი გაჭირვებისაგან გამოსახსნელათ უკიდურესმა ბერშტენიანცმა ჟორესმა, რომელიც ამ უკანასკნელ დროს შეიქნა პარლამენტის უმრავლესობის ლიდერათ, წარმოადგინა შემდეგი რეზოლიუცია: პალატამ, მოისმინა რა მთავრობის განცხადება, რომ ის წლის ბოლოს წარმოადგენს რაიმე ნაირ შემოსავლის კვალობაზე შედგენილ გადასახადის პროექტის, შეუდგა რიგზე მდგომ საქმეების განხილვას. თავის თავათ იგულისხმება, რომ ასეთი განუსაზღვრელი ფორმულა, რომელშიაც თვითეულს შეუძლია დაინახოს ის, რაც მას სურს, ერთ ხმათ იქნა, მიღებული. ამ კითხვის შესახებ ამტყდარ ბაასის დროს ჟორესის მიერ შეთვისებული „ახალი მეთოდი“ მშვენიერათ დაახასიათა ორმა დეპუტატმა. ცენტრიდან რიბომ შენიშნა ჟორესს: „კაი ხანია, თქვენ მოვალეობათ მიგაჩნიათ ყოველთვის უმრავლესობისაკენ იყვეთ, თუმც ეს თქვენგან მოითხოვდეს საგრძნობელ პრინციპიალურ მსხვერპლს“. ანტისემიტმა ლაზომ დაუძახა ჟორეს: „ხომ ხედავთ, ჟორესო, ახლა ჩვენ სულ ყველა სოციალისტები ვართ!“ ჰარმონიის დრო დადგა და ბასტიაც ძალიან კმაყოფილი უნდა იყოს თავის საფლავში.

რომ კლერიკალები გამოაძევოს მათ უმკვიდრეს პოზიციიდან—შკოლებიდან, სადაც კატოლიკებს შეძლება აქვთ გაზარდონ მთელი თაობები რომის ეკლესიის და როიალიზმის შეხედულობის მიხედვით, კომბმა პარლამენტის დათხოვის რამდენიმე დღის წინეთ გამოსცა ცირკულიარი, რომლის ძალით ერთბაშათ უნდა დაიხუროს 2500 კონგრეგაციონიული შკოლა. თუმცა თავისუფალ მოაზრეთ არ შეუძლიათ პრინციპიალურათ არ დიეთანხმონ ამ ზომას, მიუხედავათ ამისა ისინი იძულებული არიან დაუფიქრდენ ამ ახირებულ ცირკულიარს, რომელიც სწორეთ იმ დროს გამოიცა, როცა არც კი შეიძ-

ლება კაცმა სამინისტროს დაეკითხოს, ინტერპელიაცია წარუდგინოს.

გარდა ამისა ხსენებულ ცირკულიარის წინეთ გამოიცა მეორე ცირკულიარი. ამ ცირკულიარსაც მხედველობაში ნაციონალისტები ყავს, მაგრამ ის ისეთ ძალას და უფლებებს ანიჭებს პრეფექტებს, რომ იმათ ადვილათ შეუძლიათ, თუ სამინისტრო შეიცვალა, ამ ცირკულიარით ისარგებლონ სხვა პარტიებთან საბრძოლველათ. ცირკულიარი აგონებს პრეფექტებს დააჯილდოვონ და დააწინაურონ მხოლოთ ის მოხელეები მათი დეპარტამენტისა, რომელნიც მათი, პრეფექტების აზრით საკმაოთ გამსჭვალული რესპუბლიკანელები იქნებიან.

Duprat.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲣᲩᲘᲜᲐᲠᲘ ᲛᲢᲠᲔᲑᲘ.

(გაგრძელება)

ყოველმა მკითხველმა იცის, რომ თვითოეულ გადამდებ სენს აქვს თავისი დასაწყისი და თავისი დასასრული; დასასრული ორგვარია, ან სიკვდილი სნეული ორგანიზმისა, ან მორჩენა. გადამდებ სნეულებას აჩენს ბაქტერიების დაბუდება ადამიანის ორგანიზმში და მათ მიერ დამზადებული ტოქსინები, აქედან აშკარაა, სნეულ ორგანიზმს მორჩენა მხოლოდ მაშინ შეუძლია, როდესაც ის დახოცავს ბაქტერიებს და მოიშორებს მათ ტოქსინებს. ბაქტერიოლოგიას ჯერ რიგიანათ ვერ გამოურკვევია, რა ნაირათ იშორებს ორგანიზმი ტოქსინებს. რადგანაც სისხლს ჰაჰები წმენდავენ, მოსალოდნელია, ტოქსინებისაგანაც ჰაჰები წმენდავდენ ორგანიზმს. დაკვირვებამ მართლაც გამოაშკარავა, რომ გადამდები სენით ავათმყოფის შარდში არის შესაფერი ბაქტერიების ტოქსინები. Rouz'მა და Jersin'-მა შეასხეს ძაღლს სისხლში დიფტერიტიანი ბავშვის შარდი და გამოიწვიეს დიფტერიტის ზოგიერთი სიმპტომები. რადგანაც შარდში დიფტერიტის ბაცილები არ ყოფილა მაშასადამე მასში უსათუოთ უნდა ყოფილიყო ბაცილების ტოქსინი; უამისოთ ცდის ასეთი შედეგი შეუძლებელია. ყოველმა დედამ იცის, რომ სკარლატინას ხშირათ მოყვება ხოლმე ჰაჰების ანთება, რაც მხოლოთ მითი აიხსნება, რომ ჰაჰები სისხლს ბაქტერიების ტოქსინებს აცლიან და ეს ტოქსინები იწვევენ ჰაჰების ანთებას. რასაკვირველია, მარტო ჰაჰები ვერ მოაცლის ორგანიზმს ტოქსინებს; უსათუოთ ტაქსინები ორგანიზმშიდაც ანიცდიან სხვა და სხვა ცვლილებას და უვნებელი ხდებიან. რაც შეეხება ბაქტერიების დახოცვას ორგანიზმში, ეს უფრო ნათლათ არის გამორკვეული. ყოველი გადამდები სნეულება წარმოადგენს ბრძოლას ბაქტერიებსა და ტანის უჯრედებს შორის. ბრძოლა სასტიკია, შეუბრალებელი; ერთი მებრძოლის გამარჯვებას მეორეს სიკვდილი მოსდევს აუცილებლათ. მიკროსკოპით რომ სისხლი გაშინჯოთ, მასში დაინახავთ ორგვარ სორლსებს: წითელსა და თეთრს; თეთრ სორსლებს ლეიკოციტებს ეძახიან.

1883 წელს მეჩნიკოვმა პასტერის ინსტიტუტში მუშაობის შემდეგ გამოაქვეყნა თავისი აღმოჩენა, რომლითაც ამტკიცებდა: ბაქტერიებს ჩვენ ტანში ლეიკოციტები და ზოგიერთი სხვა უჯრედები ჰამენო; ამ მოვლენას მან უწოდა ფაგოციტოზი. ამ ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა და კვლევა-ძიება გამოიწვია. მალე მეჩნიკოვს ბევრი მომხრე და ბევრი მოწინააღმდეგე აღმოუჩნდა. შეიქნა მუშაობა და მართლაც დამტკიცდა, რომ ლეიკოციტები ბაქტერიებს ყლაპავდენ და ინელებდენ; ასევე ექცეოდენ ბაქტერიებს ზოგიერთი სხვა უჯრედებიც. ამგვარი საშუალებით ორგანიზმი ამარცხებს ბაქტერიებს და რჩება. მეცნიერთა კვლევამ დაამტკიცა, რომ მარტო ფაგოციტოზი საკმარისი არ არის ბაქტერიების დასახოცათ. ამ კითხვას და იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი გადამდები სნეულება მეორეთ აღარ ხვდება მას, ვინც ერთხელ მოიხთის, შემდეგ თავში განვიხილავთ.

VIII.

ყველამ კარგათ იცის, რომ ზოგიერთი გადამდები ადამიანს მხოლოთ ერთხელ ხვდება: თუ ერთხელ მოიხადა, მეორეთ აღარ შეხვდება. რა არის ამის მიზეზი? ნუ თუ ბაქტერიები ველარ შედიან იმის ტანში? რასაკვირველია, შესვლით შედიან, მაგრამ რაღაც მიზეზისა გამო, ველარ მრავლდებიან და მალე იხოცებიან. ამ მიზეზს მეცნიერება დიდი ხანია იკვლევს, განსაკუთრებით ექიმები იკვლევენ მას. გასაკვირველიც არ არის: თუ ადამიანმა გაიგო, რა კლავს, მაგალითათ, სახადის ბაქტერიას იმ ადამიანის ტანში, რომელსაც ერთხელ მოუხდია ეს სნეულება, მაშინ მას შეუძლია, ეს საშუალება საუცხოო წამლათ იხმაროს, და ამისი შემწეობით დახოცოს ხოლმე ბაქტერიები სნეულის ორგანიზმში. ჯერ ძველათვე შეემჩნია ხალხს, რომ ყვავილი მეორეთ აღარ ხვდებოდა მას, ვინც ერთხელ მოიხთიდა. ექიმებმა ისარგებლეს ამ დაკვირვებით და დაუწყეს საღ ადამიანებს ყვავილის აცრა იმ იმედით, რომ აცრილი ადვილად გადიტანს და შემდეგ აღარ შეხვდებაო. ასეთ ცდას სამწუხაროთ შედეგი მოყვა: ვარდა იმისა, რომ აცრილნი ხშირათ იხოცებოდენ, ხშირათ ავრცელებდენ ხალხში ყვავილის ეპიდემიებს. მეთვრამეტე საუკუნის გასულს ჯენერმა გაიგო შოტლანდიაში, რომ ძროხას ძუძუებზე გამოესხმებოდა ხოლმე პატარა მუწუკები, რომელიც ადამიანის ყვავილს წაგავდა; ძროხის ყვავილი ხშირათ ედებოდა ადამიანებს, რომლებსაც ამას შემდეგ ნამდვილი ადამიანის ყვავილი აღარ ხდებოდათ. ზოგიერთმა ფერმერებმა აუხსნეს ჯენერს: ჩვენ ძროხის ყვავილს ხშირათ ვუცრით ნამდვილი ყვავილისაგან დასაფარავათო. ჯენერი რომ ჩვენი დროის ამაყი ექიმი ყოფილიყო, რომელსაც ყოველგვარი ხალხური წამლობა სასაცილოთ არა ყოფნის, უეჭველია, ფერმერების სიტყვას ყურადღებას არ ათხოვებდა და შეიძლება დღესაც არ გვექნებოდა ასეთი საუცხოო საშუალება, როგორიც აცრაა. მაგრამ ჯენერი უფრო გონიერი ადამიანი იყო: სანამ უარყოფდა ან დაიჯერებდა ფერმერების მიერ გადმოცემულ ფაქტს, მან შეისწავლა ეს ფაქტი. მერე იცით, რამდენი დრო მოანდომა მან ამ შესწავლას? ოცდა ათი წელიწადი! ის იყო ნამდვილი მეცნიერი, რომელიც ყოველ ფაქტს ათჯერ, ოცჯერ ზომავდა, ვიდრე თავის დასკვნას დაადგენდა. როდესაც ოცდა ათი წლის ცდისა და დაკვირვების შემდეგ ის დარწმუნდა ყვავილის აცრის უებრობაში, კიდეც გამოაცხადა თავისი აღმოჩენა, რომელმაც ჯენერს უკვდავების გვირგვინი დაადგა თავს და კაცობრიობას კი უზომო სარგებლობა მოუტანა. საშვალო საუკუნოებში ყვავილის გაგონებაც კი შიშით ავსებდა ყველას; ისე მძვინვარებდა ყვავილი, რომ ხშირათ მთელ სოფლებს ამოჟლეტავდა ხოლმე. დღეს კი ჯენერის წყალობით ყვავილი აღარ არსებობს; ხან და ხან თუ ერთი ორი ადამიანი გახდება ავათ, ისეც მათის უხეირობით და უმეცრებით. ჯენერის აღმოჩენამ საშინელი მითქმა მოთქმა გამოიწვია. ჯენერს ბევრი მტერი გამოუჩნდა, მაგრამ ჭეშმარიტებამ მალე გაიმარჯვა და ყველა მალე დარწმუნდა, რა ძვირფასი საშვალება შეძინა უკვდავმა ინგლისელმა კაცობრიობას ყვავილთან საბრძოლველათ. თუმცა ყვავილის მიკრობი არ აღმოუჩენიათ ჯერ, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ ყვავილს მიკრობი აჩენს. ძროხის ყვავილისა და ადამიანის ყვავილის მიკრობი ერთი და იგივე მოდგმის უნდა იყონ, ხოლო უეჭველია, ძროხის ყვავილის მიკრობი უფრო სუსტია ადამიანის ყვავილის მიკრობზე. როდესაც ადამიანს ძროხის ყვავილს უცრით, მის ტანში ამრავლებთ სუსტ მიკრობებს. ორგანიზმი ადვილათ ძლევს ხოლმე ამ მიკრობებს და ამის შემდეგ რაღაც

ცვლილებისა გამო მის აგებულებაში ნამდვილი ყვავილის ძლიერ მიკრობებსაც ადვილათ ერევა. ჯენერის აღმოჩენით ისარგებლა პასტერმა და მოიგონა სხვა და სხვა აცრა, რომელიც უკვე საუცხოო ნაყოფს იძლევა. მან მოიგონა ცოფის აცრა, რომლის საშველებითაც დღეს ბევრი ურჩება სიკვდილს; მანვე მოიგონა ხუზარის აცრა; უცრიან ცხვრებს, ხარებს, ცხენებს და ამგვარათ სოფლის მემამულეთ საზღვარ-გარეთ მთელი მილიონობით რჩებათ ეკონომია, ერთათ რომ ვიანგარიშოთ. რაზედ არის პასტერის აცრა დამოკიდებული? ის ასუსტებს ხუზარის ბაქტერიებს და ამ ხუსტ ბაქტერიებს უცრის პირუტყვებს; პირუტყვის ორგანიზმი დასუსტებულ ბაცილას ადვილათ კლავს და ამის შემდეგ ძლიერი ბაცილაც ველარას აკლებს მას. ყველა ეს ფაქტები აშკარათ ამტკიცებენ, რომ აცრის ან ერთხელვე მოხდილი გადამდები სნეულების შემდეგ ორგანიზმი ეჩვევა ბაქტერიებთან ბრძოლას და მათ დამარცხებას. რაში მდგომარეობს ასეთი მოვლენის ანუ იმმუნიტეტის საიდუმლოება? ამ კითხვის შესახებ რამდენიმე თეორია არსებობს. ორი თეორია პასტერს ეკუთვნის; მისი აზრით როდესაც აცრის შემდეგ ორგანიზმი აღარ სნეულდება, ამის მიზეზი ის არის, რომ აცრის დროს გამრავლებულმა ბაცილებმა ან ისეთი ნივთიერებანი დატოვეს აგებულებაში, რომლებიც ბაქტერიებს ხოცავენ, ან გამოლიეს ორგანიზმში საზრდოობის დროს ისეთი ნივთიერებათ, რომელიც ბაქტერიისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს და ურომლისოთაც ორგანიზმში ბაქტერიებს სიცოცხლე აღარ შეუძლიათ. სხვა მეცნიერებმა გაავრცელეს პასტერის აზრი და ამგვარათ წარმოდგა ორი თეორია: თეორია დატოვებისა და თეორია გამოდევნისა. რადგანაც ამ ორი თეორიის მომხრეთა მტკიცებით მაინე ნივთიერებანი აცრის შემდეგ სისხლში გროვდებოდენ, ამიტომ ამ თეორიებს უწოდეს კიდევ ღუმორალური თეორია. (humor—სითხე) ამ თეორიებს ბევრი მოწინააღმდეგენი გამოუჩნდენ. ისინი ამტკიცებდენ: აცრილი ცხოველის სისხლში ბაქტერიები საუცხოოთ მრავლდებიან (რაც მართალი აღმოჩნდა), საშასადამე რაიმე ნივთიერებითი დატოვება ან გამოლევა იქ არაფერ შეაშია: საქმე იმაშია, რომ აცრის შემდეგ ორგანიზმის უჯრედები ისეთ შეუმჩნეველ ცვლილებებს განიცდიან, რომ ბაქტერიები მას ველარას აკლებენო. ამ თეორიას უწოდებენ პირველის წინააღმდეგ ცელულარული (cellula—უჯრედი). შემდეგი თეორია - თეორია ფაგოციტოზისა—ეკუთვნის მეჩნიკოვს. მეჩნიკოვის აზრით გადამდები სენის ერთხელ მოხდის ან აცრის შემდეგ ლეიკოციტები და ზოგიერთი სხვა უჯრედები ეჩვევიან ბაქტერიების მონელებას და აღარ აბოგინებენ ხოლმე მათ ტანში, როდესაც უნდა შემოვიდენო. ბაქტერიების მჭამელ უჯრედებს და ლეიკოციტებს მეჩნიკოვმა უწოდა ფაგოციტები (ბერძნული სიტყ. φάγω—ვჭამ). მეჩნიკოვს ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, მაგრამ ცდამ და დაკვირვებამ მისი თეორიის ჭეშმარიტება დაამტკიცა. ხოლო ზოგი მეცნიერი დღეს იმ აზრის არის, რომ მარტო ფაგოციტების მფარველობა საკმარისი არ არის იმმუნიტეტის ასახსნელათო. დღეს ბევრი ამტკიცებს, გადამდები სნეულების მოხდის შემდეგ სისხლში გროვდება ჩვენი უჯრედების მიერ დამზადებული რაღაც ნივთიერებანი, რომლებიც ბაქტერიებს ხოცავენო, და სისხლის ასეთი თვისებითა და ფაგოციტობით ხსნიან იმმუნიტეტს. ჩვენ მოკლეთ წარმოვუდგინეთ მკითხველს მეცნიერების აზრი იმმუნისტეტის შესახებ და ამ კითხვის დღევანდელი მდგომარეობა. მკითხველი დაინახავდა, რომ იმმუნიტეტის ასახსნელათ საუკეთესო თეორია, ნამდვილ ფაქტებზედა და დაკვირვებაზე დამყარებული, მეჩნიკოვმა წარმოადგინა, მაგრამ ზოგიერთ ფაქტებს მარტო ეს თეორია ვერა ხსნის; ამგვარათ იმმუნისტეტის საიდუმლოება საბოლოოთ ჯერ არ არის გამოკვეული.

ჩვენი წერილი გათავდა, მაგრამ რადგანაც ციება ჩვენში გავრცელებული ავათმყოფობაა და ისიც პარაზიტარული სნეულებაა, ამიტომ იმ მკითხველმა, რომელმაც აქამდინ მომყვა, შეიძლება, ცოტა კიდევ მომისმინოს.

ამ წერილის თავში ჩვენ ვამბობდით, ბაქტერიები მცენარეთა სამეფოს ეკუთვნიანო. გარდა ბაქტერიებისა სნეულებას იწვევენ ისეთი პარაზიტებიც, რომლებიც ცხოველთა სამეფოს ეკუთვნიან. ამ გვარ პარაზიტებში ამ ჟამათ მკითხველის ყურადღებას მარტო ციების პარაზიტს—სპოროზოას მივაქცევთ. ციების სპორობოა აღმოაჩინა ციებიანის სისხლში იტალიელმა ლავერანმა 1880 წელს. ლავერანის სპოროზოა ეკუთვნის ცხოველთა იმ ჯგუფს, რომელსაც პროტოზოას ეძახიან, რადგანაც ცხოველთა სამეფოში ეს ჯგუფი ყველაზე უფრო ნაკლებათ არის განვითარებული. ციების სპოროზა წარმოადგენს ცალუჯრედიან ცხოველს. ახალგაზდა ცხოველი ძალიან მოძრავია და, რადგანაც ტანი რბილი აქვს, ერთგვარ გარეკან ფორმას მცირე ხანაც არ ირჩენს. უფრო ხნიერი პარაზიტი უმეტეს შემთვევაში რგვალი ბურთისებური გარეგნობის არის. სანამ ეს პარაზიტი რაიმე გზით ადამიანის სისხლში არ შევა, მანამდის ციებასაც ვერ გაიჩენს. ადამიანის სისხლში ორგვარი სორსლებია: წითელი და თეთრი. ციების პერაზიტი შევა თუ არა სისხლში, მაშინათვე წითელ სორსალში შეძვრება და ცხოვრობს იქ. წითელ სორსალში პარაზიტი ნელ-ნელა იზრდება, რგვალდება და სორსალს თანდათან შლის. ამის გამო წითელი სორსლების რიცხვი სისხლში ძალიან მცირდება, რასაც შედეგათ მოყვება ხოლმე ციებიანი ადამიანის ნამეტანი უფერულობა. თუ როგორ ანადგურებენ სისხლის სორსლებს ეს პარაზიტები იქიდანა ჩანს, რომ რაც უნდა სისხლ ჭარბი იყოს ადამიანი, ორჯერ გაციების შემდეგვე ჩამოყვითლდება ხოლმე. როდესაც პარაზიტი საკმაოთ გაიზრდება წითელ სორსალში, ის მოძრაობას თავს ანებებს და მალე რამოდენიმე სპორათ იყოფა. თვითოეული სპორა ისევ სრულ პარაზიტათ იქცევა. როდესაც პარაზიტები სპორებათ დაიყოფიან ხოლმე, სწორეთ ამ დროს ჩააცივნებს ხოლმე ციებიანს იტანში და შემდეგ სიცხეს აძლევს. ციება და ცხელება ჩვენშ სხვა-და-სხვა სნეულება გონიათ, მაგრამ ეს ორივე მხოლოთ სიმპტომებია ერთი და იგივე სნეულების. ზოგ ადამიანს ყოველ დღე აციებს, ზოგს ორ დღეში ერთხელ, ზოგს სამ დღეში, ზოგს ოთხ დღეში ერთხელ. მაშასადამე ზოგი პარაზიტი სრულ დამთავრებას, ე. ი. სპორებათ დაყოფას ერთ დღეს ანგდომებს, ზოგი ორს, ზოგი სამს და სხვ. აქეშან აშკარაა, რომ ციების პარაზიტი სხვა-და-სხვა მოდგმის არის. აქვე შევნიშნავთ, რომ ციებით ფრინველებიც ხდებიან ხოლმე ავათ.

ი. გ—ლი.

ᲥᲣᲗ. ᲬᲘᲒ. ᲒᲐᲛᲝᲛᲪ. ᲐᲛᲮ. „ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲒᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘᲡ“ ᲡᲐᲞᲐᲡᲣᲮᲝᲗ.

ქუთ. წიგ. გამომც. ამხ. გამგეობის წევრი ძლიერ გაუკვირვებია ჩვენ კორესპონდენტისა („კვალი“ № 28). ის ისე ბირწმინდათ (და არა ბირნათლათ) ჩაუოდია („ცნობის ფურც.“ № 1864) და გაურჩევია წერილი, რომ შიგ აუარებელი შეცდომები ადმოუჩენია, და ეს ჩვენ თურმე განგებ, განზრახ ჩავიდინეთ, რათა „ამხანაგობას სახელი გაუტეხოთ“ და მის „გამგეობას ჩირქი მოვცხოთ“. არც ერთი, არც მეორე ჩვენ აზრათ არ გვქონია, მოწყალეო ხელმწიფევ, და დაგარწმუნებთ, რომ არაფერი ჩვენ განზრახ არ გადაგვმახინჯებია.

მაშ გავარჩიოთ ის შეცდომები, რომელიც ჩვენ განზრახ ოა-

ვუმეით და რომლის გამო ბრალს გვდებთ, ბ. გამგეობის წევრო! აუარებელ შეცდომაში—რომლის რიცხვი მოელ ნახევარ დიუენს უდრის, საუურადღებოა სამი: მამია გურიელის გონორარი, ბ. კ. დორქოფანიძის სიტყვების „გადამხინჯება“, და კოსკის შესახებ მოყვანილი ზოგიერთი წევრის აზრი. არის მეოთხე ცოდვაც (რომელმაც აადება კალამი ხელში გამგეობის წევრს), რომელიც შეეხება მდ. ს. მწყედლიძის სიტყვებს, და რომლის საგსებით მოუვანით არ გვეოქვამს მხოლოთ, რომ გრ. აბაშიძის ლექსები სკამზე დაბერტეა და სთქვა: ამდენ ქადაღდს ორ შაურათ ვეიღდიო) ჩვენ თურმე „ბირზე ხელის დაფარების და უსიტყვოთ თავის ქნევის“ ეტიკეტი დაგვირდვევია და ამიო ამბ. და მისი გამგეობის მტრობა გამოგვიჩენია [1]). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბ. გამგეობის წევრი, სადაც აზრი ვერ უარუეია, ფარაზებს ამხედრებია (გონორარი), სადაც ნამდვილი აზრის გაგება არ ნდომებია, ჩვენი წინადადება შუაზე გაუგლეჯია განზრახ დასამხინჯებლათ (კირიელეს სიტყვების „გადამხინჯება“), იქ კი სადაც, არც ერთი არ შეიძლებოდა, ერთიანათ უარუეია აზრი (კოსკის შესახებ).

დავიწეოთ მამია გურიელის გონორარიდან. ბირველათ უკან მიგვაქვს სიტყვები: „ამხანაგობას ჯერ დაბირებული გონორარის მეათედიც არ აუღიათქო“. ვთქვათ მას 400—500 მ. [2]) წიგნი გაუეიდია; მაგრამ ამით ირდვევა ის აზრი, რომ ამხანაგობას ჯერ ხარჯებიც (გურიელის თხზულებათა დასამზადებლათ გადებული) კი არ დაუფარავს, ე. ი. ცოტა გაუეიდია? მაშრას ნიშნავს ბ. გამგეობის წევრის სიტყვები: „ჯერ გამოცემის ხარჯიც არ არის დაფარულიო“ (სამს ჩვენ ვუსვამთ); ირდვევა ის აზრი, რომ ბ. კ. დორთქოფანიძე—მამია გურიელის ნათესავთა რწმუნებული—„ხელ ცალიერი დაბრუნდა“? სრულიადაც არა! ამას ვერც ბ. გამგეობის წევრი უარეოფს: „ამხანაგობა ვალდებულია წმინდა მოგებიდან 200 მ. გადადოს (უკანასკნელი კურსივი ჩვენია) განსვენებულ მამია გურიელის ხსოვნის ბატივ საცემლათ“-ო. გადადოს შემდეგისთვის, როდესაც მოგებას ნახავს და არა დღესვე. და მერე როდის ვთქვით ჩვენ ამხანაგობამ სრულიათ უარი უთხრა რწმუნებულსთქო. მეკადეს ხელცალიერი გაშვება (და მერე ისეთი მეკადესი, რომლის გასტუმრების ვადა მოვალეს ჯიბეზეა დამოკიდებული) იმას რადი ნიშნავს, რომ თქვენ მას არას დროს არაფერი არ მისცეთ. რომ დაბირდით, ეს ჩვენც გვაქვს მოხსენებული. ბ. კ. დორთქოფანიძე—როგორც ამბ. წევრი რომ წინადადგეგი იეო ვალის დადესდეობით გადახთისა, ამაზე, თუ გნებავთ, ჩვენც მოგიწერთ ხელს, მაგრამ ამას ვგონებ არავითარი კავშირი არ აქვს მის—როგორც რწმუნებულის—ხელცალიერ დაბრუნებასთან. ან და იქნებ ბ. გამგეობის წევრი აქაც ეტიკეტის დარდვევისთვის გვიწერება: რატომ ხელცარიელი დაბრუნდა და არა წაბრძანდა მათი ბრწყინვალება არ თქვითო. მეორე შეცდომა, რომელიც ჩვენ ჩაგვიდენია ბ. გამგეობის წევრის აზრით, არის იმავე ბ. კ. დორთქოფანიძის სიტყვების ვითომ განზრახ „გადამხინჯება“. აი ჩვენგან მოყვანილი კირიელეს სიტყვები [3]): „რაც უფრო კარგია წიგნი, მით უფრო მეტი(!.) თანი დაწერონ ამხანაგობამ, ცუდ წიგნებს კი ისეთი დიდი თანი უნდა დაადოს, რო მისი გავრცელება მოუხერხებელი შეიქნესო“. ამ სიტყვებში რომ უნებლიე შეცდომაა წინადადების ბირველ ნახევარში და სიტყვა „ნაკლების“ მაგიერ „მეტია“ ნახმარი, ჩვენ გვეგონია ყველა გაიგებს, ვისაც განგებ არ სურს მოგბირდაბირის აზრი განზრახ დაამახინჯოს ბ. გამგეობის წევრი კი ასე, მოიქცა: მოელ წინადადება (კირიელეს სიტყვები) შუაზე გაგლეჯა, ბირველი ნახევარი ამოიღო, მეორე კი—ურომლისოდაც ჩვენ მიერ უნებლიეთ დაშვებული შეცდომა გაუგებარი ხდება და მაროლაც ამხინჯებს ბ. კ. დორთქოფანიძის სიტყვებს—მიმალა. ჩვენი შენიშვნა „სწორეთ დრმა ფიდოსოფიათქო“, ეკუთნოდა წინადადების მეორე ნახევარს: „ცუდ წიგნებს კი ისეთი დიდი თანი უნდა დაადოს, რომ მისი გავრცელება მოუხერხებელი შეიქნესო“ [4]). ბ. გამგეობის წევრმა კი—რადგანაც ეს უკანასკნელი მიმალა, ჩვენი შენიშვნა ბირველ ნახევარს მიაწება და ისეთი სიტყვების კარიკატურა გამოიეანა, რომელზედაც ვგონებ არც ერთმა „მოამაგდაგმა“ გარდა ბ. გამგეობის წევრისა, ხელი არ მოაწერონ. სიტყვების „გადამხინჯება“ თუ გინდათ აი ამას ქვია, ბ. წევრო გამგეობისაგ!

კოსკის შესახებ ჩვენ ვამბობდით „გამგეობის ასეთ მოქმედებას (ე. ი. კოსკის ამენებას და მაზე 800 მანეთის დახარჯვას) ზოგიერთმა ეჭვის თვალით შეხედა, გაიკვირვა: ასე ბატარა შენობა რვაას მანეთათ როგორ დაჯდა“. ბ. გამგეობის წევრი კი გვიკიეინებს ეს ტეუილია. ტეუილი კი არა ნამდვილი სიმართლეა; ეჭვის თვალით შეხედა მდ. ს. მწყედლიძემ, გაიკვირა ბ. ს. ქვარიანმა (ძვირათ დამჯდარა), რომელმაც გამგეობას დაწვრილებით ანგარიშებიც კი მოთხოვა, რათა ის ბირნათლათ წამდგარიეო კრების წინაშე. ვგონებ გვქონებია ნება გვთქვა ის, რაც ვთქვით და აქ არაფერი მოგონილი არ არის. რაც შეეხება ჩვენს საკუთარ აზრს, თითქოს ეს ტეუილია. ბირიქით ჩვენ მადლობასაც ვუცხადებთ მას ასეთ მოქმედებისათვის. აქაც ჩვენმა შენიშვნამ შეიეანა ალბათ ბ. გამგეობის წევრი შეცდომაში. მაგრამ ჩვენი შენიშვნა ეხება ბ. კ. დორთქოფანიძეს გადაწყვეტილებულ აზრს: ამგვარი კოსკი მოსკოვსა და ბეტერბუდგში 800 მ. კი არა, 2000 მ. დაჯდებოდა. აი ასეთი შედარება დავინახეთ ჩვენ უსაფუძვლოთ და თანაც შევნიშნეთ „ასე რომ ვთქვათ, დონდონსა და ნიუიორკში ორი ათას მანეთათ კი არა, ოთხასი სტერლინგიც კი დაჯდება, მაგრამ სად დონდონი და სად ქუთაისითქო“. ბ. გამგეობის წევრს კი ეს გამგეობის შეურაცეოფათ მიუღია, რაც არასოდეს არ გვქონია აზრათ.

რაც შეეხება წევრების რიცხვს, რომლის გულისათვის კინაღამ ჯვარს გვაცვა ბ. გამგეობის წევრმა, მათი რიცხვი თუმცა ოცზე ცოტა მეტია—24, [5]) მაგრამ 57-დის—როგორც ის გვიჩვენებს, მაინც ბევრი უკლია. და ასეთ გადიდებას სწორეთ განზრახ გადიდება ქვია. წინაადმდეგ შემთხვევაში, გთხოვთ, ბ. გამგეობის წევრო დაგვისახელოთ ის ბირები—არამც თუ 33 კაცი, რომელიც ჩვენ დავამალეთ და რომლებიც თქვენ დაგვანახვეთ, არამედ 10—15 კაცი; თორემ ან ავათ უნდა იეოთ თუ ერთი ორათ გეჩვენებათ, ან და ჩვენდა დასაშინებლათ განზრახ გეომეტრიული ბროპორციით ამრავლებთ წევრთა რიცხვს.

Parole.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

---

[1]) ყოველისფერს ვიფიქრებდით. მაგრამ წევრის სიტყვების მოყვანა თუ ცოდვათ ჩაგვეთვლებოდა, არ ვიცოდით.

ავტორი.

[2]) 400 მანეთიდან 500-დის ერთობ დიდი მანძილია ბ. გამგეობის წევრო! ნამდვილი ცნობების მსურველს, რომ ცოტა დაახლოებით სიმართლე გეთქვათ კი აფობებდა გგონებ.

ავტორი.

[3]) სადაც წინადადების ბირველ ნახევარში სიტყვა „ნაკლების„ მაგიერ უნებლიე შეცდომით ნახმარი გვაქვს „მეტი“.

ავტორი.

[4]) ამასთანავე ვამბობდით რა საჭიროა ... ცუდ ... ამხანაგობის მიერ, რომლის გასაღებაც ბ. კ... არ არისთქო.

ავტორი.

[5]) ჩვენ მხედველობაში გვყავს სრული წევრები, რომელთაც კრებაზე ხმა აქვთ და გამგეობის ანგარიშის სიაში მოხსენებული არიან.

განცხადებანი.

ფოთის საბუნებალტერო კურსები.

გ. გიგინეიშვილისა.

თხოვნა მიიღება ყოველ დღე. სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან. პიროობები და პროგრამები მსურველთ გაეგზავნებათ უფასოთ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ დიდი სურათი იყიდება თფილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, ქუთაისში მ. ლალიძესთან. ფასი ერთი აბაზი.

ᲔᲥᲘᲛᲘ Ე. Გ. ᲤᲔᲝᲓᲝᲠᲝᲕᲘ.

იღებს შინაგან და საბავშო სნეულებით ავათმყოფებს სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს 5—7 საათამდე.

მიხეილის პროსპეკტი, № 144.

ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲜᲡᲘᲝᲜᲘ.

ს. მამულაიშვილისა.

ვერა, სლეპცოვის ქუჩა, № 13. ზემელის აფთექის მახლობლათ.

ამზადებს ბავშვებს საშვალო სასწავლებლებისათვის (გიმნაზია, რეალური და კომერციული სასწავლებლები, კადეტთა კორპუსი და სხ.). იქვე ამზადებენ მოწაფეებს, რომელთაც დანიშნული აქვთ ხელ-მეორეთ გამოცდა (переэкзаменовки)

თფილისის კერძო სამკურნალო
ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

(კუკია, ნიკოლოზის ქ., სახლი საგინაშვილისა, № 21).

ტელეფონი № 274.

ავათმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

ᲓᲘᲓᲘᲗ:

ვ. ი. ჭიჭინაძე — კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

ბ. გ. მაღალაშვილი — შინაგ. სამშ. ხუთშ. და შაბათობით 10—11.

ი. Შ. ახალშენიშვილი — კბილის სნეულებანი, 11—12.

ბ. მ. ელიოზიშვილი — შინაგ. და ბავშ. 11—12.

ვ. მ. მანსვეტოვი — შინაგანი და ნერვების, და ბავშვების სამშაბ. და პარასკ.—1 2.

ს. ბ. ბარსუკოვი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკეობით, 12—1.

ვ. გრ. სობოლევსკი — ქირურგ. და ორტოპედიული, ორშ. ოთხშ. და პარსკ. 1—3 საათ.

ბ. მ. ამბარდახოვი — სიფილისისა, კანისა და საშარდესა. 1—2.

ᲡᲐᲓᲐᲛᲝᲗᲘ:

ი. ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი, 5—6.

მ. გ. ინჩევსკი — ყურის, ყელის და ცხვირის 5—6. ქვეარაობით 12—1.

ს. ბ. მაღალაშვილი — შინაგანი და ბავშვებისა, მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6.

ᲙᲕᲘᲠᲐᲗᲘᲗ:

ვ. მ. მანსვეტოვი — შინ., ნერვ. და ბავშ. 9—10.

ბ. გ. მაღალაშვილი — შინაგან ავათმყოფ., 10—12.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები. ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები და კოაოტები მორიგებით.

Съ разрѣшенія главнаго управленія по дѣламъ печати,

понижена подписная плата

на

„Новое Обозрѣніе“.

Какъ для городскихъ, так и для иногородныхъ подписчиковъ подписная плата: за годъ—7 р., за полгода—4 р., 3 мѣс.—2 р. 50 к., 2 мѣс.—2 р., 1 мѣс.—1 р.; отдѣльный № въ Тифлисѣ—3 к., внѣ Тифлиса—5 коп.

Допускается **разсрочка платежа**: къ 1-му января 4 р., къ 1-му іюня—3 р.

Для сельскихъ учителей, народныхъ и школьныхъ библіотекъ и благотворительныхъ учрежденій сдѣлана скидка: год. плата для иногородныхъ—6 р., для городскихъ—5 руб.

Программа газеты, сотрудники и другія условія изданія останутся прежнія.

Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа каждаго мѣсяца. Подписка принимается въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты, Барятинская ул., д. № 8.

Редакт. Г. М. Тумановъ, издат. К. М. Тумановъ

3-3

РУССКОЕ БОГАТСТВО.

Продолжается пріемъ подписки на 1902 года.

На годъ съ доставкой и пересылкой 9 р., безъ доставки въ Петербургѣ и Москвѣ 8 р., за границу 12 р. Адресъ: Петербургъ, Баскова ул., 9; Москва, Никиткія ворота д. Гагарина.—При непосредственномъ обращеніи по этимъ адресамъ допускается разсрочка: при подпискѣ 5 р. и къ 1-му іюля 4 р.—Книжные магазины, библіотеки, земскіе склады и потребительныя общества могутъ удерживать за комиссію и пересылку денегъ только 40 коп. съ каждаго годового экземпляра. Подписка въ разсрочку отъ нихъ не принимается

Новыя изданія редакціи журнала „Русское Богатство“.

Н. Кудринъ. „ОЧЕРКИ СОВРЕМЕННОЙ ФРАНЦІИ“. Ц. 2 р.

П. Булыгинъ. РАЗСКАЗЫ. Ц. 1 р. 50 к.

Дозволено цензурою Тифлисъ, 20 іюля 1902 г.

Типографія Конст. Ив. Мартиросянца Орб. ул. 1—2.